პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 222 (10919) | ხუთშაბათი, 19 სექტემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

# ოქტომბრის დიადი გზით

მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეზისებს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის (1917-1957)", რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა.

ამ დოკუმენტს უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მასში მკაფიოდ ასახულია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელიც მოახდინა რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც შეიარაღებული იყო ყოვლისმძლე მარქსისტულ-ლენინური თეორიით.

ოქტომბრის რევოლუციამ, რომელიც მასშტაბებით ყველაზე გრანდიოზული, თავისი ამოცანებითა და მიზნებით ყველაზე ღრმა იყო, განახორციელა მშრომელთა საუკუნეობრივი მისწრაფება, გვამცნო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის დასასრული, არა მარტო გამოაცხადა, არამედ კიდევაც განახორციელა სოციალიზმის, მშვიდობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის იდეები.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მშრომელ მასებს მოუტანა ყველაზე მთავარი თავისუფლება — ექსპლოატაციისაგან თავისუფლება, რომელიც ყველა დემოკრატიული უფლებისა და თავისუფლების საფუძველია. ოქტომბრის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა პროლეტარიატის დიქტატურა, დაფუძნებული მუშებისა და მშრომელი გლეხობის კავშირზე, მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის პირობებში.

ოქტომბრის ქარცეცხლში შობილი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ამხედრდნენ მთელი მსოფლიოს შავბნელი ძალები. მათ სურდათ სისხლში ჩაეხრჩოთ ოქტომბრის რევოლუცია. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა საერთაშორისო იმპერიალიზმის თავდასხმის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებში შეძლეს დაეცვათ თავიანთი ახალგაზრდა რესპუბლიკა, გაენადგურებინათ იმპერიალიზმის პირველი თავდასხმა და დაეწყოთ ახალი ცხოვრების, სოციალიზმის მშენებლობა.

დიდმა ოქტომბერმა გააცამტვერა რეაქციული ლეგენდა, თითქოს ხალხის მასებს უნარი არ ჰქონდეთ მართონ სახელმწიფო. გმირული ბრძოლისა და დიადი გამარჯვებების ორმოცი წელი, განვლილი ოქტომბრის შემდეგ, ნათლად მოწმობს, რომ მშრომელ მასებს შეუძლიათ არა მარტო წარმატებით დაანგრიონ ძველი, უვარგისი, დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილება, არამედ ასევე წარმატებით აშენონ ახალი სოციალისტური ცხოვრება, უმოკლეს ვადაში დაძლიონ ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა და შექმნან დიდად განვითარებული ეკონომიკა, დაამყარონ და განავითარონ დემოკრატიის უმაღლესი ფორმა — სოციალისტური დემოკრატია, დაამყარონ მეგობრობისა და ძმობის წინათ არნახული ურთიერთობა სხვადასხვა ერებს შორის, მილიონობით ადამიანი გაალვიძონ შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის.

სწორედ ამიტომ, — ნათქვამია თეზისებში, — ოქტომბრის რევოლუცია თავისი ხასიათითა და მიზნებით არის ნამდვილად ხალხური და ყველაზე დიდი ყველა რევოლუციათა შორის, როგორიც კი კაცობრიობის ისტორიამ იცის.

მოახდინა რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, საბჭოთა ხალხი, თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რთულ პირობებში შეუდგა საკაცობრიო ამოცანის — სოციალიზმის აშენების საქმის განხორციელებას იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც შეიმუშავა პარტიისა და ხალხის ბელადმა ვ. ი. ლენინმა. კომუნისტურ პარტიას მოუხდა დიდი ბრძოლების გადატანა როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების, აგრეთვე ანტიპარტიული დაჯგუფებების წინააღმდეგ სოციალიზმის მშენებლობის უკვალავ გზაზე. თეზისებში ნათქვამია, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც მეთაურობდა ვ. ი. ლენინი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ი. ბ. სტალინი, გაანადგურა ყველა ანტიპარტიული დაჯგუფება, დარაზმა პარტია დიად მონოლითურ ძალად, რომელმაც, მტკიცედ სძლევდა რა გაჭირვებასა და სიძნელეებს, ჩვენი ქვეყანა წაიყვანა სოციალისტური მშენებლობის ლენინური გზით.

გმირმა საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, მოახდინა კულტურული რევოლუცია, ააშენა სოციალისტური საზოგადოება. სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება ოქტომბრის რევოლუციის მთავარი შედეგია. ექსპლოატატორთა უმცირესობის მიერ ხალხთა უმრავლესობის ეკონომიური, სოციალური და ეროვნული მრავალსაუკუნოვანი დამონების შემდეგ ცხოვრების მბრძანებელი გახდნენ შრომა და მშრომელი ადამიანები — მუშები, გლეხები და სახალხო ინტელიგენცია.

მრისხანე განსაცდელი იყო ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის დიდი სამამულო ომი. სისხლიან ჰიტლერულ ფაშიზმს სურდა მოესპო მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყანა. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომმა ცხადყო სსრ კავშირში შექმნილი ახალი, სოციალისტური საზოგადოების სიმტკიცე და უძლეველობა, სოციალიზმით შობილი და კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ახალი ადამიანის სულის უძლეველი ძალა. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ იხსნა არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიო ფაშისტური მონობის საფრთხისაგან, ხელი შეუწყო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმოშობას, სოციალიზმის უძლეველ მსოფლიო სისტემად გადაქცევას.

ომისშემდგომ წლებში ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ ახალი ძალით დაადასტურა თავისი უდიდესი უპირატესობანი კაპიტალიზმთან შედარებით. საბჭოთა ხალხმა უმოკლეს ვადაში აღადგინა ომის მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობა და უკვე 1956 წელს 3,5-ჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას უშვებდა, ვიდრე 1940 წელს. სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 1957 წელს 33-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს. საბჭოთა კავშირმა სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობით გაუსწრო ევროპის მოწინავე ქვეყნებს და მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენი ხალხი წარმატებით წყვეტს ამოცანას — დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ.

უკანასკნელ წლებში პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე 38 მილიონი ჰექტარით გადიდდა ნათესი ფართობები და 1956 წელს დაახლოებით 195 მილიონ ჰექტარს მიაღწია. სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით წყვეტენ პარტიის მიერ დაყენებულ ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძის და კარაქის წარმოების მხრივ.

საბჭოთა ხალხს გააჩნია ყველა პირობა კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის, რაც უკვე საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური პრაქტიკული შემოქმედების საქმეა. კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის მიზანს ემსახურება მთელი ხალხის, კომუნისტური პარტიის შემოქმედება, მისი ორგანიზატორული და მასების აღმზრდელობითი საქმიანობა.

კომუნიზმის გამარჯვების სულისკვეთებით არის გამსჭვალული პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები. მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარება, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობა, მშრომელი მასების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება კომუნიზმის მშენებლობის პროგრამაა.

კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ამიტომ არის, რომ პარტია და მთავრობა მტკიცედ ახორციელებენ ღონისძიებებს, მიმართულს საბჭოთა ადამიანების შრომის პირობების, ყოფაცხოვრების, კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ოქტომბრის შემდეგ განვლილი სახელოვანი ორმოცი წლის ბრძოლისა და დიადი გამარჯვებების გზა გაჩირაღდნებულია ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით. კომუნისტური პარტიის მტკიცე მარქსისტულ-ლენინური ხელმძღვანელობა იყო და არის გადამწყვეტი ძალა ჩვენი ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებში. თუ არ არის პარტია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს კომუნიზმისათვის თავდადებულ ადამიანებს, თუ არ არის პარტია, რომელიც შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, მტკიცეა თავისი დისციპლინით, ერთიანობით, ულმობელია გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრისა და ანტიპარტიული დაჯგუფებების წინააღმდეგ, თუ არ არის პარტია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მასებთან, — შეუძლებელია წინსვლა, კომუნიზმის გამარჯვება.

თავის საგარეო პოლიტიკაში კომუნისტური პარტია მტკიცედ ეყრდნობა სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოების თანაარსებობის ლენინურ პრინციპს, მშვიდობის, ხალხთა შორის თანამშრომლობის პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, მეგობრობისა და თანამშრომლობის დამყარება ყველა ხალხებს შორის. ამ პოლიტიკამ მთელი მსოფლიოს მხურვალე მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა. მშვიდობის პოლიტიკა, გამოცხადებული ოქტომბრის გამარჯვებისთანავე, საბოლოოდ გაიმარჯვებს ომის გამჩაღებლების აგრესიულ პოლიტიკაზე.

წლითიწლობით იზრდება საერთაშორისო მნიშვნელობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც ნათელი ჰორიზონტები გადაუშალა კაცობრიობას, მაღლა ასწია სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა, კომუნიზმის დროშა. ოქტომბრის ორმოცი წლისთავი იქნება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის, ყველა სოციალისტური ქვეყნის, მთელი საერთაშორისო მუშათა კლასის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრწყინვალე დღესასწაული.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი ძალა მიმართონ იქითკენ, რომ ღრმად გავაცნოთ და შევასწავლოთ მშრომელებს თეზისები, სათავეში ჩავუდგეთ მათს სამეურნეო და პოლიტიკურ აქტივობას, რათა ისინი კომუნიზმის მშენებლობაში ახალი წარმატებებით შეეგებონ ღირსშესანიშნავ წლისთავს.

# ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ე. ბივენთან და ჯ. ლისთან

იალტა, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მოღვაწე ენიურინ ბივენი და მისი მეუღლე — დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი ჯენი ლი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის მოწვევით.

შეხვედრის დროს ნ. ს. ხრუშჩოვს, ე. ბივენსა და ჯ. ლის შორის გაიმართა ხანგრძლივი საუბარი, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკურ სამინისტროდ გაერთიანების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გაერთიანდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 18 სექტემბერი.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. კ. ი. ბარიგიანის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ამხ. კარლ ისაკის-ძე ბარიგიანი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 18 სექტემბერი.

# კ. ე. ციოლკოვსკის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

16 სექტემბერს გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართა დიდი საღამო, რომელიც მიეძღვნა რეაქტიული მოძრაობის და დირიჟაბლმშენებლობის თეორიის დამაარსებლის კ. ე. ციოლკოვსკის დაბადების ასი წლისთავს.

საღამო გახსნა პროფესორმა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორმა ვ. ს. პუგაჩოვმა. შესანიშნავი რუსი მეცნიერის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის, ჰაერნაოსნობის დარგში მისი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა პროფესორმა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორმა ვ. ა. სემიონოვმა. რაკეტული ტექნიკის დარგში კ. ე. ციოლკოვსკის შრომების შესახებ დამსწრეთ მოუთხრო დოცენტმა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ინჟინერ-პოლკოვნიკმა ა. ი. ზენკინმა.

საღამო დამთავრდა ხელოვნების ოსტატთა კონცერტით. (საკდესი).

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის (1917 — 1957) ორმოცი წლისთავისათვის

„პრავდის" გამომცემლობამ მილიონი ცალი ტირაჟით ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის" (1917—1957).

დღეს ბროშურა გასაყიდად მიიღეს წიგნის სავაჭრო ქსელის მაღაზიებმა და კიოსკებმა. (საკდესი).

# ახალი წიგნები დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისათვის

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისათვის გამოუშვა მთელი რიგი ახალი წიგნები.

ქართულ ენაზე გამოვიდა კრებული „ი. ბ. სტალინი ოქტომბრის შესახებ", გამოსაცემად მზადდება გ. კ. ორჯონიკიძის წიგნი „სტატიები და სიტყვები, ტ. I".

გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ჟვანიას წიგნი „ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის". მასობრივი ტირაჟით გამოცემულია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ნუცუბიძის წიგნი „რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს გლეხობას". გამოდის დოკუმენტების კრებული „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში".

დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ვ. ი. ლენინის მთელ რიგ თემატურად შერჩეულ ნაწარმოებთა გამოცემა ქართულ ენაზე. გამოდის კრებულები „ვ. ი. ლენინი ოქტომბრის შესახებ", „ვ. ი. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ", „ვ. ი. ლენინი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის შესახებ", „ვ. ი. ლენინი პარტიული მშენებლობის შესახებ. (საქდესი).

# მშვიდობის დასაცავად, ატომური ომის გაჩაღების წინააღმდეგ

## ქალაქ თბილისის მეცნიერთა კრება

მოძრაობა ატომგულის ომის თავიდან აცილებისათვის დღითიდღე სულ უფრო ფართო მასშტაბს იღებს. იგი მოედო დედამიწის ყველა კონტინენტს. მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები ითვალისწინებენ, რომ ატომგულის გამალებული შეიარაღების პოლიტიკას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს მმართველი წრეები ახორციელებენ, შეუძლია ბოლოს და ბოლოს გამოიწვიოს ატომური გამანადგურებელი ომი, რომელიც ყველა ქვეყნის ხალხებს აურაცხელ უბედურებასა და ტანჯვას მოუტანდა. სულ უფრო ძლიერ გაისმის მოთხოვნა:

— ბოლო მოეღოს გამალებულ ატომურ შეიარაღებას, შეწყდეს ატომგულის გამოცდა, აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი!

ატომური იარაღის აკრძალვისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ მეცნიერები, რომლებისთვისაც სხვებზე უფრო ნათელია ატომური იარაღის გამოყენების საშინელება, როგორც ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებისა. ბევრი ქვეყნის მეცნიერები აფრთხილებენ თავიანთ მთავრობებსა და მსოფლიო საზოგადოებრიობას კაცობრიობისათვის მოვლენილი საფრთხის გამო.

ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის დასაცავად თავიანთი მძლავრი ხმა აღიმაღლეს საბჭოთა მეცნიერებმა. მათ მოითხოვეს გაერთიანდეს ყველა ქვეყნის მეცნიერთა ღონისძიებანი ატომგულის იარაღის აკრძალვისათვის და, კერძოდ, მისი გამოცდის დაუყოვნებლივი შეწყვეტისათვის წარმატებით ბრძოლის მიზნით.

ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერთან ერთად, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და ყველგან შეწყვეტას მოითხოვენ საქართველოს მეცნიერების მუშაკებიც.

ამ დღეებში რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა თბილისელ მეცნიერთა კრება. აქ შეიკრიბა ქალაქის სამეცნიერო დაწესებულებათა დაახლოებით 500 მუშაკი — ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ქიმიკოსები, ისტორიკოსები, ბიოლოგები, ფიზიოლოგები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა.

— ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, — თქვა მან, — რომ განვიხილოთ საკითხი, რომელიც ახლა მთელ კაცობრიობას აღელვებს. მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანები სერიოზულად არიან შეშფოთებულნი, რომ, სულ უფრო გაძლიერებული გამალებული ატომგულის შეიარაღება ატომური ომის რეალურ საფრთხეს ქმნის, რომელშიც ატომის ენერგიის დარგში მეცნიერული აღმოჩენები შეიძლება გამოიყენონ მოსახლეობის მასობრივი მოსპობისათვის. ატომური და წყალბადის ბომბების განუწყვეტელი გამოცდა იწვევს ატმოსფეროს რადიაქტიურ მოწამვლას, რაც მეტად საშიშია თავისი შედეგებით კაცობრიობის მრავალი თაობისათვის.

ჩვენ ვამაყობთ, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის ომის თავიდან აცილებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის. საბჭოთა კავშირმა, რომელიც ხელმძღვანელობს ჰუმანური მიზნებით, წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა მთავრობებს აკრძალონ ატომგულის იარაღის გამოცდა. მაგრამ საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც ნაკარნახევია გულწრფელი ზრუნვით მსოფლიოს ბედისათვის, უცვლელად ხვდებიან იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჯიუტ წინააღმდეგობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის ხუთნახევარი თვის მუშაობამ ვერ გაამართლა მილიონობით ადამიანის იმედი, რომლებიც მოითხოვენ განიარაღების პრობლემის გადაჭრას.

— ასე აღარ შეიძლება, — ამბობს ამხ. მუსხელიშვილი, — მსოფლიო საზოგადოებრიობამ უნდა აღიმაღლოს ხმა. მას შეუძლია მოახდინოს და კიდევაც უნდა მოახდინოს გავლენა განიარაღების პრობლემის გადაჭრაზე, მიაღწიოს იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, ბოლოს, სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ.

ატომური ომის გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეცნიერებს. ჩვენ სხვებზე უკეთ ვიცით ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებსაც შეიცავს ატომური ბირთვის ენერგია, მისი გამანადგურებელი ძალა. მეცნიერები ჩასწვდნენ ბუნების საიდუმლოებას და შეიმუშავეს ატომური ფიზიკის საფუძვლები. მათ შექმნეს მძლავრი აგრეგატები ატომის ენერგიის საწარმოებლად. კაცობრიობის გენიის ეს უდიდესი აღმოჩენა მშვიდობის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს.

— ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობაა, — ამბობს დასასრულ აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, — გავაფრთხილოთ მსოფლიოს ხალხები, თუ ნამდვილად რა საფრთხეს წარმოადგენს ატომგულის ენერგიის გამოყენება ომის მიზნებისათვის. ვუამბოთ ადამიანებს, რა მოელით მათ, თუ ომის გამჩაღებლებმა შეძლეს გამოიწვიონ მსოფლიო კატასტროფა. ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რათა ადამიანის მასობრივი მოსპობის იარაღი აიკრძალოს.

ტრიბუნაზე ადის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. დვალი. იგი ამბობს:

— ხალხები არასოდეს არ მდგარან ისეთი დიდი საფრთხის წინაშე, როგორც ახლა. დიდი მეცნიერული აღმოჩენები, რაც სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მოახდინეს, აღმოჩენები, რომლებიც კაცობრიობის სამსახურში უნდა ჩამდგარიყვნენ, შეიძლება ადამიანთა უდიდესი ტანჯვის წყარო გახდეს. ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია სიცოცხლე, ნათელი მომავალი, უნდა აიმაღლოს ხმა იმპერიალისტი ავანტიურისტების წინააღმდეგ, რომლებიც დაუფიქრებლად და დანაშაულებრივად ეთამაშებიან ატომგულის იარაღის ცეცხლს.

ჩვენ იმისათვის უნდა ვიბრძოლოთ, რომ მეცნიერთა ღონისძიებანი შეერთდეს ერთიან მძლავრ მოწოდებად, რომ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ ამ კეთილშობილური მიზნების მისაღწევად. ამიტომ მტკიცედ ვუჭერ მხარს ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა საზოგადოებრიობის ინიციატივას, რომ მოწვეულ იქნას მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი ატომური ომის თავიდან აცილებისადმი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ა. შანიძეს.

— იმის ფიქრიც კი საშინელია, — ამბობს იგი, — თუ რა შეიძლება მოხდეს, ატომური და წყალბადის ომი რომ ატყდეს: უმდიდრესი მუზეუმები, სადაც ესოდენ მრავალი კულტურული ფასეულობანი ინახება, შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი, სხვადასხვა ეპოქის ისტორიული ძეგლები, ყველაფერი, რაც ესოდენ ძვირფასია თანამედროვე კულტურული კაცობრიობისათვის, — შეიძლება აღიგავოს პირისაგან მიწისა. ამიტომ გადაჭრით მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა, რათა მომავალში მივაღწიოთ ამ მომაკვდინებელი იარაღის წარმოების აკრძალვას.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვ. მამასახლისოვი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა განუწყვეტლივ ვითარდებოდეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა და კულტურა, უმჯობესდებოდეს ხალხის კეთილდღეობა. საბჭოთა კავშირში ატომის ენერგია ადამიანის სამსახურშია ჩაყენებული.

— ატომის ენერგია, — აღნიშნავს იგი, — მძლავრი ძალაა, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს სწრაფად იაროს წინ მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის გზაზე. ცხოვრება გვიჩვენებს კაცობრიობის საკეთილდღეოდ ატომის ენერგიის გამოყენების უდიდეს შესაძლებლობას. დიდი გაქანება მიეცა ჩვენს რესპუბლიკაში ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის მუშაობას. ამ დარგში ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა დაახლოებით 30 სამეცნიერო დაწესებულება.

მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა ქ. [illegible] მან თქვა, რომ საბჭოთა ხალხს, რომელიც [illegible] მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით ეგებება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს, ძლიერ სძულს ომის გაღვივების პოლიტიკა. საბჭოთა ადამიანები მტკიცე რწმენით შეჰყურებენ თავიანთ მომავალს და არავის არ მისცემენ ნებას დაარღვიოს მათი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

— ჩვენ, მეცნიერ ქალებს, — თქვა მან, — კარგად გვესმის და ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, როგორია ის აურაცხელი უბედურება, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ატომურ ომს. ჩვენ გულის სიღრმემდე გვაღელვებს ჩვენი შვილების — კაცობრიობის იმედისა და მომავლის სიცოცხლე. მთელი მსოფლიოს ბავშვების სიცოცხლისათვის, მომავალ თაობათა ბედნიერებისათვის ჩვენ მოვითხოვთ აიკრძალოს თერმოატომგულის ბომბების გამოცდა.

— საბჭოთა მეცნიერები, — აღნიშნა თავის სიტყვაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ი. ბათიაშვილმა, — ამაყობენ იმით, რომ თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაში, იმ დიადი ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა. მთელ საბჭოთა ადამიანებთან ერთად ისინი დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს ხვდებიან სასიხარულო შედეგებით თავიანთ შემოქმედებით შრომაში საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენ ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის მკაფიო და კონკრეტულ წინადადებებს იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა და გამოყენება.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. წულუკიძის სიტყვაში გაისმა დიდი სიამაყის გრძნობა საბჭოთა ხალხისათვის, საბჭოთა მთავრობისათვის, რომელიც თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს, იბრძვის ახალი ომის გაჩაღების წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

— ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, — განაცხადა მან, — ვესწრაფვით იმას, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები მთლიანად გამოყენებულ იქნას კაცობრიობის ინტერესებისათვის, მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. თითქოს ეს ჰუმანური მისწრაფებანი უნდა ესმოდეს ყოველ პატიოსან და კულტურულ ადამიანს, რომელ რასასაც უნდა ეკუთვნოდეს, რომელ იდეოლოგიასაც უნდა ქადაგებდეს იგი. მაგრამ უკანასკნელი წლების ამბები ცხადყოფენ, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან ისეთი ძალები, რომლებიც ისწრაფვიან გამოიყენონ მეცნიერების მიღწევები და პროგრესი არა მილიონობით ადამიანის კეთილდღეობისათვის, არამედ მათი დაღუპვისათვის.

ეჭვი არ არის, რომ მეცნიერების ყველა პატიოსანი მოღვაწე საზღვარგარეთ მხურვალედ გამოეხმაურება საბჭოთა მეცნიერების მოწოდებას მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რათა განიხილონ ატომგულის ენერგიის სამხედრო მიზნით გამოყენების საფრთხის საკითხი.

თბილისის ახალგაზრდა მეცნიერთა სახელით გამოვიდა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ი. ხალდეევა.

— კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა მშობლიურმა საბჭოთა მთავრობამ, — თქვა მან, — ახალგაზრდობას შეუქმნეს ყველა პირობა ნაყოფიერი სწავლისა და მეცნიერების საფუძვლების დაუფლებისათვის, შემოქმედებითი ნიჭის ყოველმხრივი გამოვლინებისათვის. ჩვენ ვოცნებობთ აღმოჩენებსა და გამოგონებებზე იმისათვის, რომ უფრო ლამაზი გავხადოთ ჩვენი სამშობლო, კიდევ უფრო ვასახელოთ იგი.

თბილისის მეცნიერთა კრების მონაწილეებმა გამოთქვეს საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ურყევი გადაწყვეტილება მთელი თავიანთი ძალღონით დაიცვან მშვიდობის საქმე, არ დაუშვან ახალი ომის გაჩაღება, იბრძოლონ ყველა ქვეყნის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის. (საქდესი).

# ქალაქ თბილისის მეცნიერთა კრების რეზოლუცია

თბილისის მეცნიერთა კრებამ განიხილა ატომური ომის მზარდი საფრთხის საკითხი, რაც იწვევს სულ უფრო მეტ შეშფოთებას მეცნიერების მოღვაწეთა შორის და მთელ კაცობრიობაში. ახეთი ომი ატომური და წყალბადის იარაღის გამანადგურებელი ძალისა და რაკეტული ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე მთელი კაცობრიობისათვის უდიდესი უბედურება იქნებოდა.

თანდათანობით გაძლიერებულმა გამალებულმა შეიარაღებამ, ატომური და წყალბადის იარაღის დაგროვებამ უკანასკნელ დროს შექმნეს ატომური ომის დიდი საფრთხე, რომლის დროსაც მეცნიერული აღმოჩენები შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსახლეობის მასობრივი მოსპობისათვის, კერძოდ, ატმოსფეროს რადიაქტიური მოწამვლის გზით, რაც თავისი შედეგებით მეტად საშიშია კაცობრიობის მომავალი თაობებისათვის.

ეს გარემოება მეცნიერებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ხალხის წინაშე. ყველა ქვეყნის მეცნიერთა მოქალაქეობრივი ვალია გააფრთხილონ მსოფლიო საზოგადოებრიობა, თუ ნამდვილად რა საფრთხეს წარმოადგენს ახლა ატომის ენერგიის სამხედრო მიზნით გამოყენება, და მიიღონ ყოველგვარი ღონისძიება, რათა აკრძალულ იქნას ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშინელი იარაღი — ატომური და წყალბადის იარაღი, რათა დაუყოვნებლივ შეწყდეს მისი გამოცდა.

ჩვენს დროში იმაზე უფრო კეთილშობილური და მაღალი მიზანი არ არსებობს, ვიდრე ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის გადარჩენაა. ჩვენ, თბილისელი მეცნიერები, მთელ ჩვენს საბჭოთა კოლეგებთან ერთად, მოხარული ვართ, რომ ჩვენი მთავრობა განუხრელად და მტკიცედ იბრძვის ამ დიდი მიზნისათვის. ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებას — დაუყოვნებლივ განხორციელდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა, რაც პირველი ნაბიჯი იქნება ამ იარაღის სრული აკრძალვის გზაზე. ეს წინადადება შეიცავს ისეთი საერთაშორისო შეთანხმების რეალურ საფუძველს, რომელიც ბოლოს მოუღებს ატომური ომის საფრთხეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ვერ გაამართლა მსოფლიოს მილიონობით ადამიანის იმედი, რომლებიც მოითხოვენ გადაიჭრას განიარაღების, ატომური იარაღისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა აკრძალვის პრობლემები. უკვე დროა, რომ ამ ორგანიზაციამ ანგარიში გაუწიოს მსოფლიოს ხალხთა უფართოესი მასების დაუცხრომელ მისწრაფებას მშვიდობისადმი, სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერების ავტორიტეტულ ხმას იმ უდიდესი უბედურების შესახებ, რომელიც კაცობრიობისათვის მოაქვს ატომური ომის საფრთხეს.

თბილისელ მეცნიერთა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა მეცნიერის, სიცოცხლის მთავარი მიზანია ემსახურონ ჩვენს ხალხს, მისი კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას, ემსახურონ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს, კაცობრიობის პროგრესისა და ბედნიერების საქმეს.

ქალაქ თბილისის მეცნიერთა კრება მხურვალედ მიესალმება და სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირისა და უცხო ქვეყნების მეცნიერთა ყველა ღონისძიებას ატომური ომის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ და გამოთქვამს მეცნიერთა სრულ მზადყოფნას ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ამ ღონისძიებათა წარმატებას.

ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ უცხო და საბჭოთა მეცნიერების წინადადებას მეცნიერთა ფართო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად, მთელი მსოფლიოს მეცნიერების ღონისძიებათა გასაერთიანებლად. სურვილს გამოვთქვამთ, რომ ეს კონფერენცია მოწვეულ იქნას რაც შეიძლება მალე სხვადასხვა ქვეყნის დიდად კვალიფიციურ მეცნიერთა მონაწილეობით.

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ყველა ქვეყნის მეცნიერთა ძმური სოლიდარობა მშვიდობისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობასა და მეგობრობას — კაცობრიობის ბედნიერებისა და პროგრესის საწინდარს.

# მაღლა გვეჭიროს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშა



თბილისის საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში მუშები, ინჟინრები, მოსამსახურეები დიდი ყურადღებით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეზისებს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის“. სურათზე: თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მეხუთე კომპლექტის ოსტატის თანაშემწე აგიტატორი შ. ოდილავაძე აცნობს მუშებს თეზისების ტექსტს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ავტომობილმშენებლები — დაწინაურებულთა რიგებში

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან პირველი ავტომობილი ჩამოვიდა. შემდგომი წლები ამ ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის ზრდისა და დავაჟკაცების პერიოდი გახდა.

სიძნელეებთან შეუპოვარი ბრძოლითა და იმ ძმური, უანგარო დახმარებით, რასაც ქუთაისელებს რუსი ავტომობილმშენებლები უწევენ, წარმატებით გადაწყდა ახალი ნიმუშის მანქანების გამოშვების საკითხი, ხორციელდება ტექნიკური პროგრესი, მიღწეულია საერთო აღმავლობა. ახლა ქარხნის კოლექტივი გამართულად მუშაობს, წარმატებით ეჯიბრება ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

წელს ავტომობილმშენებლებმა დანერგეს ახალი ტექნიკა და გაუმჯობესებული ტექნოლოგია, მოაწყეს მთელი რიგი კვანძებისა და დეტალების დამზადება. მართვის გარდაქმნის შემდეგ ძირეულად გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა ეკონომიის მკაცრი რეჟიმის განხორციელებისათვის. ამან ქარხნის კოლექტივს გაუადვილა რიტმული მუშაობა და საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევა.

ავტომობილმშენებლებმა საოქტომბროდ იკისრეს 1956 წელთან შედარებით 15 პროცენტით შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება. ეს ვალდებულება მათ უკვე გაანაღდეს, რვა თვეში 2 მილიონი მანეთის ეკონომია გასწიეს. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება 13 პროცენტით, ხოლო გეგმასთან შედარებით — 5,2 პროცენტით გაადიდეს.

ყველაზე დიდი გამარჯვება, რასაც ქარხნის კოლექტივმა საოქტომბრო შეჯიბრებაში მიაღწია, ეს არის ორმხრივ ასაყირავებელი „ქაზ—600“ მარკის თვითსაცლელი ავტომანქანის ათვისება და სერიული გამოშვება. ამ გამარჯვების მოსაპოვებლად ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი ორგანიზაციული მუშაობა გასწიეს, გამოავლინეს წარმოების დამატებითი რეზერვები, ცალკეული კვანძებისა და დეტალების ათვისებისათვის მოამზადეს ახალგაზრდა მუშები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას.

ავტომობილმშენებლებმა ბევრი ტექნიკური სიახლე განახორციელეს, წარმოებაში დანერგეს მაღალი წარმადობის 26 სამარჯვი, აითვისეს წინა კოჭის სერიული გამოშვება, აამუშავეს ლითონების სასინჯი რენტგენ-დანადგარი და ა. შ.

ეს წარმატებები მოპოვებულ იქნა ავტომობილმშენებელთა შემოქმედებითი, მაღალნაყოფიერი შრომით, რიგითი მუშებისა და წარმოების მეთაურების თავდადებული მუშაობით. ქარხანაში აღიზარდნენ შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ. ასეთები არიან: მთავარი ინჟინრის მოადგილე გ. კობალაძე, ქარხნის ტექნოლოგიური განყოფილების უფროსი რ. ქარცივაძე, მთავარი მეტალურგის მოადგილე თ. გენძეხაძე, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე დ. ქართველიშვილი, საამქროთა უფროსები ვ. ჩახხიანი, ბ. გურესაშვილი, ვ. ჯორბენაძე, ვ. რევაზიშვილი და სხვები.

ქარხნის კოლექტივი ამაყობს ისეთი ნოვატორებით, როგორიც არიან ჩქაროსანი ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. აგაპოვი, ამწყობები ი. ხაზარაძე, ტ. იჩქიტიძე და ს. თოდაძე, მეყალიბეები ზ. ნოზაძე და ვ. კვიჟინაძე, ზეინკალი ა. რეხვიაშვილი, მეკოპე ა. ბოგუსლავსკაია, მჭრელი ვ. ქორქოლიანი, მღარავი ო. ადეიშვილი, თერმისტი კ. კიზირია და ასობით სხვა ნოვატორი.

მაგრამ ყოველივე ამასთან საავტომობილო ქარხანაში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების ყველა რეზერვი, მეტად დიდია წუნით გამოწვეული დანაკარგები. 1956 წლის ფაქტიურ მაჩვენებლებთან შედარებით წელს საწარმოო დანაკარგები 40 პროცენტით უნდა შემცირებულიყო. ასე იკისრეს ავტომობილმშენებლებმა. მაგრამ ფაქტიურად წუნით გამოწვეული საწარმოო დანაკარგები შემცირების ნაცვლად 12 პროცენტით გაადიდეს. დღემდე გაუმართავად მუშაობს რუხი თუჯის სამსხმელო საამქრო (უფროსი რ. მაჩიტაძე), სადაც ხშირად ირღვევა ყალბის დამზადებისა და ჩამოსხმის ტექნოლოგია, ხშირია მანქანა-დანადგართა გაცდენა. დავალებათა შესრულებაში ჩამორჩება აგრეთვე სამჭედლო საამქრო (უფროსი ი. რემეზოვი).

ქუთაისელ ავტომობილმშენებლებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ შემდგომ კიდევ უფრო გააუმჯობესონ მუშაობა, სანაქებო მაჩვენებლებით წარსდგნენ სამშობლოს წინაშე დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ზეიმისათვის.

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## პარტიის მოწოდება ჩვენი საბრძოლო საქმეა

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები მძლავრი შრომითი და პოლიტიკური აქტივობით ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. მათ რიცხვში არიან ფოცხოელი კოლმეურნეებიც, რომელთა შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა პარტიის მოწოდებამ — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

ჩვენს კოლმეურნეობაში მეცხოველეობა წინათ ჩამორჩენილი დარგი იყო. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ შარშან თვითეულ ძროხაზე მოვწველეთ მხოლოდ 215 კილოგრამი რძე. ღრმად გვაქვს რა შეგნებული, რომ ასეთი ნაბიჯებით წარმატების მოპოვება არ შეიძლება, მიზნად დავისახეთ მეწველი პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება და მტკიცე საკვები ბაზის შექმნა.

პირველი შედეგები დამაკმაყოფილებელია. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე 35 ძროხიდან თვითეულზე მოვწველეთ 725 კილოგრამი რძე გეგმით გათვალისწინებული 650 კილოგრამის ნაცვლად. უკვე ჩავდეთ 200 ტონამდე სილოსი—ნათესი ბალახისა და სიმინდის მწვანე მასის ნარევი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პირობებში ნაკლებია ბუნებრივი ბალახის რესურსები, უკვე გავთიბეთ 25 ჰექტარი. მთელი აღებული თივა ფერმასთან მივზიდეთ.

გარდა ამისა, წელს ჰექტარზე 15-18 ცენტნერ სიმინდს ველით. მარცვლეულის ზრდა ხელს შეგვიწყობს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

ჩვენთან მეცხოველეობის ბევრი ენთუზიასტია. დ. მურღულია, ი. გოგია და სხვები ბეჯითად შრომობენ საკოლმეურნეო ფერმაში, გულდასმით უვლიან პირუტყვს.

გადავწყვიტეთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

**დ. დადიანი,**
ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

★

## ითვისებენ ახალი პროდუქციის გამოშვებას

დიდი ტევადობის რეზერვუარებს, ორასლიტრიან კასრებს მტს-ებისათვის და სხვადასხვა სახის ლითონკონსტრუქციებს გზავნის როგორც საქართველოს რაიონებში, ისე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანა.

მელითონეებმა კარგად იციან, რომ მათ პროდუქციაზე სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება და მის დასაკმაყოფილებლად გადაჭარბებით ასრულებენ ყოველთვიურ დავალებებს. გეგმით აგვისტოში 913.000 მანეთის პროდუქცია უნდა გამოეშვათ, ფაქტიურად კი 1.098,6 ათასი მანეთისა გამოუშვეს და დავალების გადამეტებით დაამზადეს 956 კუბური მეტრი ცისტერნები და 813 ცალი ორასლიტრიანი კასრები. საგრძნობლად ამაღლდა თვითეული მუშის გამომუშავება.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულება ითვალისწინებს ორი ახალი სახის პროდუქციის გამოშვებას. მელითონეები ამ პირობას პირნათლად ანაღდებენ: ამზადებენ და სექტემბრის მეორე ნახევარში გამოუშვებენ გაზის ბალონების პირველ პარტიას. აკეთებენ და წლის ბოლომდე დაამთავრებენ ორ კოშკურა ამწეს.

კარგად მუშაობს ამწყობ-შემდუღებელი საამქროს კოლექტივი, რომელსაც მეორე კვარტალის შეჯიბრების შედეგებით ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა აქვს მიკუთვნებული.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მჭედელმა გ. ელიაშვილმა, ელექტროშემდუღებლებმა მ. ცატინიანმა, ნ. ტოტოსაშვილმა, ამწყობებმა ა. ყიფიანმა და ვ. ხარატიშვილმა.

## პირობა შევასრულეთ

ჩვენმა კოლმეურნეობამ 7 სექტემბრისათვის რაიონში პირველმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაის დამზადების წლიური დავალება — 275 ტონის ნაცვლად მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 276,6 ტონაზე მეტი ნედლეული. კოლმეურნეობას გადაეცა საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომისა და რაიონული საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

წარმატება მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომით, განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი ბრიგადა, რომელსაც ლ. დადეშქელიანი ხელმძღვანელობს. აქ მოიკრიფა 42,7 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი 40 ტონის ნაცვლად. დიდი მონდომებით იშრომეს ბრიგადის მეორე და მესამე რგოლებმა (მერგოლეურები ჭ. ჯანაშია, პ. ყორშია). ბრიგადამ, რომელსაც ი. ქანთარია მეთაურობს, 73 ტონამდე ჩაის ნედლეული დაამზადა. ამ ბრიგადაში დაწინაურდა ბ. ბაქარანძის რგოლი. მისი მაჩვენებელია 24,1 ტონა ჩაი — დაგეგმილზე თითქმის 10 ტონით მეტი.

სახელი გაითქვეს ცალკეულმა მეჩაიეებმაც. თამარ ჩაბალუხამ 10 სექტემბრისათვის ნახევარ ჰექტარზე მოკრიფა 3.369 კილოგრამი ნედლეული 2.000 კილოგრამის ნაცვლად. კოლმეურნე ალექსანდრა დარასელიამ შეასრულა ფოთლის კრეფის წლიური დავალება და ყოველდღიურად 30-35 კილოგრამ ჩაის კრეფს. დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს წარმატებით ხვდებიან ზინა ქომეთიანი, ელენე ლოსაბერიძე, ალე და ნიკო მირგატიები, ციბაკი ქარდავა.

აქაური კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ წელს გეგმის გადამეტებით მრეწველობას მისცენ 50 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

**პ. ბელქანია,**
ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

★



თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა. ახალ შრომით წარმატებებს აღწევენ ფაბრიკის მოწინავე მუშები, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის საპატიო ვახტზე დგანან.

სურათზე: თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის გამომჭრელი საამქროს უფროსი ვ. ჭუჭულაშვილი (მარცხნივ) ამოწმებს ლ. დემენტიევას მიერ შესრულებული ფეხსაცმლის ზედაპირის გამოჭრის ხარისხს.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# სათბობი მრეწველობა მძლავრი აღმავლობის გზაზე

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად




ენერგორესურსებით საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. რევოლუციამდელ რუსეთში ეს რესურსები ნაკლებად იყო შესწავლილი. ბუნებრივი რესურსები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფართოდ იქნა გამოყენებული.

ქვანახშირი ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ვ. ი. ლენინმა მას მრეწველობის პური უწოდა. 1955 წელს ჩვენი ქვეყნის სათბობ ბალანსში მასზე მოდიოდა 65 პროცენტი.

მეფის რუსეთს ქვანახშირის ამოღების მხრივ მსოფლიოში მეექვსე ადგილი ეჭირა. ჩვენში მაშინ იღებდნენ 29 მილიონ ტონა ქვანახშირს, უმთავრესად დონბასში. რუსეთს საგრძნობლად უსწრებდნენ წინ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი. რუსეთში 1913 წელს ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 205 კილოგრამი ქვანახშირი, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოდიოდა 5.356 კილოგრამი, ინგლისში — 6.396, საფრანგეთში — 1.057 კილოგრამი. ქვანახშირის ნაკლებობის გამო რუსეთი იძულებული იყო საზღვარგარეთიდან შემოეზიდა იგი და ამით შეევსო დანაკლისი.

ქვანახშირის ამოღება საგრძნობლად დაეცა ჯერ პირველი იმპერიალისტური ომის, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომის შედეგად. ჩვენი მშობლიური პარტია, საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქვანახშირის ამოღების გადიდებას, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო მეტალურგიის განვითარება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედების განმავლობაში მწყობრში ჩადგნენ ქვანახშირის მძლავრი აუზები, რამაც საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას განუწყვეტლივ გაეზარდა ქვანახშირის ამოღება. უკვე 1940 წელს ჩვენში 5,7-ჯერ მეტ ქვანახშირს იღებდნენ, ვიდრე მეფის რუსეთში 1913 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომმა დიდი ზარალი მიაყენა ქვანახშირის მრეწველობას, კერძოდ დონბასს, მისი ამოღება მაინც არ შემცირებულა. 1950 წელს 57 პროცენტით მეტი ქვანახშირი იყო მოპოვებული, ვიდრე 1940 წელს. ამ დროისათვის ქვანახშირის მოპოვებაში წინ გვისწრებდნენ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები, დანარჩენი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები უკან მოვიტოვეთ.

ქვანახშირის მოპოვება საგრძნობლად დიდდებოდა ომისშემდგომ ხუთწლედებში. ამას მეტყველებს შემდეგი ციფრები: საშუალო წლიური მატება პირველ ხუთწლედში შეადგენდა 7,2 მილიონ ტონას, მეორე ხუთწლედში — 12,7 მილიონს, მეოთხე ხუთწლედში — 22,4 მილიონს, მეხუთე ხუთწლედში — 26 მილიონს, მეექვსე ხუთწლედში კი მიაღწევს 40,5 მილიონ ტონას. 1955 წელს ჩვენში ამოღებული იყო 14-ჯერ მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1913 წელს.

1956 წელს საბჭოთა კავშირში მოპოვებული იყო 429 მილიონი ტონა ქვანახშირი, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 480 მილიონი, ინგლისში — 225 მილიონი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 229,6 მილიონი, საფრანგეთში — 55,1 მილიონი ტონა. ამრიგად, ჩვენ თითქმის დავეწიეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

დანარჩენ ქვეყნებს კი დიდი ხანია გავუსწარით. ამერიკასა და ინგლისში ამ 50 წლის განმავლობაში ქვანახშირის ამოღება არათუ არ გაზრდილა, არამედ, პირიქით, შემცირდა. ჩვენში განხორციელებულია ქვანახშირის ამოღების სრული მექანიზაცია, რაც მეშახტეებს დიდად უმსუბუქებს შრომას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება საქართველოში. ახლა ტყიბულის, ტყვარჩელის და ახალციხის შახტები 40-ჯერ მეტ ქვანახშირს იღებენ, ვიდრე 1913 წელს ვიღებდით.

ნავთობის მნიშვნელობა განუზომლად დიდია სახალხო მეურნეობისათვის. იგი ყველაზე იაფ და ეფექტურ სათბობს წარმოადგენს. მას ფართოდ იყენებენ ქიმიურ მრეწველობაშიც. რევოლუციამდელ რუსეთში ნავთობის მთელი რიგი საბადოები ხელუხლებელი, შეუსწავლელი და გამოუკვლეველი იყო. 1913 წელს ნავთობის მოპოვება შეადგენდა 10,3 მილიონ ტონას. ამ მხრივ რუსეთს წინ უსწრებდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ამ დროისათვის 34,0 მილიონ ტონა ნავთობს იღებდნენ. 1913 წელს რუსეთში საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 66 კილოგრამი ნავთობი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 350 კილოგრამი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლედების წლებში განუხრელად იზრდებოდა ნავთობის მოპოვება. მაგალითად, პირველ ხუთწლედში ნავთობის ამოღების საშუალო წლიური მატება შეადგენდა 2,4 მილიონ ტონას, მეორე ხუთწლედში — 1,4 მილიონს, მეოთხე ხუთწლედში — 3,7 მილიონს, მეხუთე ხუთწლედში — 6,6 მილიონ ტონას, ხოლო მეექვსე ხუთწლედში მიაღწევს 12,8 მილიონ ტონას.

სსრ კავშირში 1956 წელს ამოღებული იყო 83,8 მილიონი ტონა, რაც თითქმის 8,5-ჯერ მეტია იმაზე, რასაც მეფის რუსეთში იღებდნენ. ამჟამად ნავთობის მოპოვებაში ჩვენ გვისწრებენ ამერიკის შეერთებული შტატები და ვენესუელა, მაგრამ ჩვენი განვითარების ტემპები იმდენად სწრაფია, რომ მალე დავეწევით მათ ამ დარგშიც.

გაზსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სათბობ ბალანსში. მეფის რუსეთში თუ უმნიშვნელო რაოდენობით იყო იგი გამოყენებული, 1956 წლისათვის მან ჩვენში მიაღწია 13,7 მილიარდ კუბურ მეტრს. ამ მხრივ ჩვენ ყველა ქვეყანას ვასწრებთ გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა. თუ როგორ იზრდებოდა ჩვენში გაზის მოპოვება, ამას გვიჩვენებს შემდეგი მაჩვენებლები: 1913 წელს გაზის მოპოვება უდრიდა 17 მილიონ კუბურ მეტრს, 1928 წ. — 331 მილიონს, 1940 წ. — 3.388 მილიონს, 1950 წ. — 6.180 მილიონს, 1955 წ. — 10.355 მილიონ კუბურ მეტრს, 1960 წელს კი იქნება 40.000 მილიონი კუბური მეტრი. მეექვსე ხუთწლედში დიდად გაფართოვდება გაზის მოპოვება.

ტორფის მარაგის მხრივ საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველ ადგილი უჭირავს. ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში, ივანოვოს, იაროსლავლის, კალინინისა და გორკის ოლქებში ტორფი მრეწველობის მთავარი სათბობი ბაზაა. ჩვენში ყოველწლიურად იზრდება ტორფის ამოღება. თუ 1913 წელს იგი შეადგენდა 1,7 მილიონ ტონას, 1955 წლისათვის მიაღწია 51 მილიონ ტონას.




### ოქტომბრის მზის ქვეშ

## ახალი თიანეთი

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე სიბნელე და უმეცრება ბატონობდა თიანეთელ მშრომელთა ცხოვრებაში. სევდიანად გამოიყურებოდნენ გლეხთა ქოხები, სადაც პირუტყვთან ერთად ადამიანებიც ცხოვრობდნენ. სოციალისტურმა რევოლუციამ ბედნიერება მოუტანა ჩვენს ხალხს. ოქტომბრის მზით გასხივოსნებული თიანეთი ყოველდღიურად ლამაზდება, იზრდება, კოლმეურნეთა ცხოვრება სულ უფრო კულტურული და შეძლებული ხდება.

ამჟამად თიანეთის რაიონში 17 კოლმეურნეობაა. გასულ წელს კოლმეურნეობებმა მაღალ წარმატებას მიაღწიეს მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. მეცხოველეობით მიღებული შემოსავალი წინა წლებთან შედარებით ერთნახევარჯერ გადიდდა. კიდევ უფრო თვალსაჩინო შედეგებია მიღწეული მიმდინარე წელს. იანვრიდან აგვისტომდე თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 629 კილოგრამი რძე. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა არის 60 კილოგრამით.

ერწოს დაბლობი თიანეთის რაიონის მემინდვრეობისა და მეცხოველეობის განვითარების ძირითადი ბაზაა. ორი ათეული წლის წინათ ამ დაბლობის დიდი ნაწილი გაუვალ ჭაობს წარმოადგენდა. იგი მალარიის ბუდე იყო. ახლა აქ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჭაობის ამოშრობა, სულ მოკლე დროში ერწოს მთელი ფართობი ადამიანთა სამსახურში ჩადგება და კოლმეურნეობათა სახნავ-სათეს ფართობს კიდევ 4 ათასი ჰექტარი საუკეთესო მიწა შემატება.

ერწოს დაბლობზე 7 გამსხვილებული კოლმეურნეობაა. მათგან უკვე ელექტროფიცირებულია ოთხი. იქ, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ჭრაქი ბჟუტავდა, ახლა ილიჩის ნათურები კაშკაშებენ. ერწოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურს ამჟამად მძლავრი მექანიზაცია აქვს. მექანიზმები ასრულებენ რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა ძირითად სამუშაოს.

ძირფესვიანად შეიცვალა თიანეთელ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. თუ რაიონში ძველად ორი დაწყებითი სკოლა იყო ასიოდე მოსწავლით, დღეს აქ არის 30 დაწყებითი, 7 შვიდწლიანი, 4 საშუალო, სოფლის ახალგაზრდობის 4 საღამოს სკოლა და ერთი საბავშვო ბაღი სამი ათასზე მეტი მოსწავლით და სასამდე მასწავლებლით.

თიანეთის მშრომელებს კულტურულ მომსახურებას უწევს ორმოცზე მეტი სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, ხუთი კინოდანადგარი, კინოთეატრი და სხვ.

ამჟამად თიანეთის რაიონში იშვიათია სოფელი, სადაც რაისამომხმარებლო კოოპერატივს თავისი სავაჭრო ობიექტი არა ჰქონდეს. ისინი ყოველწლიურად აუმჯობესებენ თავიანთ მუშაობას — უკეთ ემსახურებიან მომხმარებლებს.

თიანეთის რაიონის ტერიტორიის 50 პროცენტზე მეტი ბუნებრივ ტყეებს უკავია. ეს ტყეები რაიონის ეკონომიკის ძლიერების უდიდესი წყაროა. უკანასკნელ წლებში აქ რამდენიმე ასეული ჰექტარი ხელოვნური ტყე გაშენდა. გახარებულია ტყის ისეთი ჯიშები, როგორიცაა ფიჭვი, ნაძვი, მუხა, იფანი, ვერხვი, აკაცია, ნაყოფის მომცემი ვაშლი, მსხალი და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თიანეთში სამედიცინო დაწესებულებები არ იყო. ამჟამად აქ ოცამდე საავადმყოფო და საექიმო უბანი მუშაობს.

ყოველწლიურად იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება რაიონის ცენტრი. უკანასკნელ ხანს აქ დაირგო მწვანე ნარგავები, გაკეთდა ელექტროლამპიონები, გაშენდა კარგად მოწყობილი კულტურისა და დასვენების პარკი, მუშაობს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საამქროები, ყველისა და კარაქის საწარმოები, ხეტყის სახერხი და ლიმონათის ქარხნები, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, საბავშვო ბიბლიოთეკა, მუზეუმი, საშუალო სკოლა, საავადმყოფო, აფთიაქი და სხვ.

რევოლუციამდე თიანეთს საკუთარი ინტელიგენციის მხოლოდ ერთეული წარმომადგენლები ჰყავდა. ამის გამო იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებშიც აქ ძირითადად საქართველოს მოწინავე რაიონებიდან მოსული კადრები მუშაობდნენ. ამჟამად მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. თიანეთში მუშაობს რამდენიმე დაწყებითი და საშუალო სკოლა, მრავალი ახალგაზრდა უმაღლეს განათლებას იღებს როგორც რესპუბლიკის, ისე მოძმე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში. თიანეთში ახლა ძირითადად ადგილობრივი კადრები მუშაობენ.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალებია. წარსულში უუფლებო და დაბეჩავებული მთიელი ქალი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ახალი ცხოვრების აქტიური მშენებელი გახდა.

უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი გახდება თიანეთი ახლო მომავალში. მეექვსე ხუთწლედში დამთავრდება მშენებლობა ერთ-ერთი რთული ნაგებობის — სიონის წყალსაცავისა. „სიონის ზღვა“ იქნება მშრომელთა დასვენების საუკეთესო ადგილი. მნიშვნელოვნად გაიზრდება ნათესი ფართობები და მათი მოსავლიანობა, უფრო განვითარდება მეცხოველეობა. გაფართოვდება სკოლების, სამკურნალო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, დამთავრდება რაიონის კოლმეურნეობათა ელექტროფიცირება და რადიოფიცირება, მალე თიანეთელები მიიღებენ ტელეგადაცემებს. კოლმეურნეობებში აიგება პირუტყვის მექანიზებული სადგომები.

ლაღი მთის შვილები — თიანეთელი მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საუკეთესო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

**ალ. ოჩგაიძე,**
გაზეთ „ახალი თიანეთის“ რედაქტორი.

# წერილები ყამირიდან

## შრომითი მამაცობის მაგალითები

ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები თავდადებული შრომის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან. მარტო ერთი კვირის მანძილზე პრესნოგორკოვკის რაიონის სუვოროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდობის იმ ბრიგადამ, რომელსაც გივი ჭანტურია ხელმძღვანელობს, მოამზადა 15 ათასი კვადრატული მეტრი საერთო მოცულობის კალოები, ადგილზე მიზიდა და დაზვინა 1.500 ცენტნერი თივა, შეაკეთა 16 ათასი კვადრატული მეტრი მოცულობის მეცხოველეობის სადგომები, დაამზადა 600 კვადრატული მეტრი შეშა და გადმოზიდა იგი საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, შეაკეთა და წესრიგზე მოიყვანა 7 კომბაინი და 5 ტრაქტორი.

ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას სამმაგად და უფრო მეტად ასრულებს, ხოლო ბრიგადის ცალკეული წევრები ვ. ნაჭყებია, ვ. კიკალეიშვილი, ა. ბოკუჩავა, ვ. იურჩენკო და სხვები დღეში ოთხ-ხუთ ნორმას ანაღდებენ.

ძნელია ჩამოთვალო საქართველოს ახალგაზრდობის წარგზავნილთა შრომითი მამაცობის მაგალითები. პრესნოგორკოვკის რაიონის კარლ მარქსის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში ძალიან ჭირდა ხე-ტყის მასალა, რის გამო ჭიანურდებოდა ფარდულებისა და საწყობების მშენებლობა. ამ ჩამორჩენის დასაძლევად შერჩეულ იქნენ ენერგიული ამხანაგები თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებიდან: ა. სპარსიაშვილი, გ. ხარაზიშვილი და დ. ბიკაშვილი, თელაველი ახალგაზრდა კოლმეურნეები ტ. ლუარსაბოვი და ტ. დავითაშვილი. ისინი გაიგზავნენ საბჭოთა მეურნეობიდან 70 კილომეტრის მოშორებით მდებარე ტყეში ხე-ტყის მასალის დასამზადებლად.

ბრიგადას მიეცა დავალება 4 დღეში 50 კუბმეტრი ხე-ტყე დაემზადებინა. ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს ეს დავალება ორ დღეში შეესრულებინათ. მაგრამ იმავე დღეს წამოვიდა კოკისპირული წვიმა, რის გამო მუშაობა ძალიან რთული გახდა. მეორე დღეს დილის 6 საათიდანვე, მიუხედავად წვიმისა, ბრიგადამ კვლავ განაგრძო მუშაობა და ნაჯახების ცემის ხმა მხოლოდ გვიან ღამით შეწყდა.

კოკისპირული წვიმის გამო გზები წახდა და არათუ ავტომანქანამ, ტრაქტორმაც კი ვერ მოახერხა ტყემდე მისვლა. მესამე დღეს წვიმა კვლავ მოდიოდა, მაგრამ მამაცმა ჭაბუკებმა, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტებიც შემოაკლდათ, ახალი ენერგიით გააჩაღეს მუშაობა და ეს დღეც შესანიშნავი შედეგებით დაამთავრეს. მესამე დღისათვის უკვე 70 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა იყო დამზადებული. მეოთხე დღეს, მიუხედავად საშინელი წვიმისა და სიცივისა, ბრიგადა ისევ შრომაში ჩაება და დაბნელებამდე შეუსვენებლივ ჩეხდა ტყეს. ასეთი შრომით 4 დღეში 89 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა იქნა დამზადებული. მეხუთე დღეს კი ბრიგადის წევრები მართალია დაქანცულნი, მაგრამ გამარჯვებულნი და პირნათელნი დაბრუნდნენ თავიანთ ამხანაგებთან მეურნეობაში.

მათი შრომითი მამაცობა და გამძლეობა სიძნელეებთან ბრძოლაში სხვებისათვის მისაბაძი გახდა.

ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები ენერგიულ მონაწილეობას იღებენ მოსავლის აღებაში. მათი ვალდებულებაა: უმოკლეს ვადაში დაამთავრონ მოსავლის აღება! და ეს ასეც იქნება.

**გ. ყიფიანი,**
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგის მოადგილე.

ყაზახეთის სსრ, კუსტანაის ოლქი. პრესნოგორკოვკის რაიონი.

## ლენტეხელი ახალგაზრდების წვლილი

ყამირზე წასვლის სურვილი ლენტეხის რაიონის ბევრმა ახალგაზრდამ გამოთქვა, მაგრამ ყველას სურვილის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. შერჩეულ იქნენ მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი.

ჩასვლისთანავე დავიწყეთ მუშაობა კუსტანაის ოლქის—ყარაბალიკის რაიონის სოფელ მიხაილოვკის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში". ახალგაზრდებმა სწრაფად აითვისეს მოწინავე ტექნიკა და ახლა სრული დატვირთვით იყენებენ მას მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებისათვის. ჩვენი რაიონის წარგზავნილთა უმრავლესობა კომბაინებსა და ტრაქტორებზე მუშაობს. კომკავშირელები ი. გვიჭიანი და ი. გაზდელიანი მოწინავე მეშტურვალეები არიან და ყოველდღიურ ნორმებს 200-300 პროცენტით ასრულებენ. ასევე მონდომებით მუშაობს კომკავშირელი ა. ტვილდიანი. პურეულის მკაში დაწინაურდნენ აგრეთვე ახალგაზრდა კომბაინერები და ტრაქტორისტები ა. ჩარქსელიანი, ქ. ავალიანი, მ. ტვილდიანი, ქ. მეშველიანი, მ. გაზდელიანი, ნ. მეშველიანი, ბ. ტვილდიანი, გ. ჩარქსელიანი, გ. ტვილდიანი და სხვები.

მოსავლის აღებასთან ერთად ლენტეხის რაიონის ახალგაზრდობის წარგზავნილები ენერგიულად მუშაობენ საკოლმეურნეო მშენებლობებზე. სულ მოკლე ხანში მათ ააგეს პურის საწყობი. მშენებლობაზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ე. გასვიანმა, შ. ა. და შ. ს. ჯანხოთელებმა, ე. დ. და ე. ს. ჯანხოთელებმა, გ. მარგველიანმა.

გულს გვიხარებს, რომ ჩვენი შრომა დიდად ნაყოფიერია. მეყამირეებმა წელს უხვი მოსავალი მოიყვანეს. კალოებზე ხორბლის მთები დგას. დღეები შეუმჩნევლად გადის დაძაბულ, მაგრამ ხალისიან შრომაში. ჩვენს ბრიგადაში ერთი წუთითაც არ წყდება კულტურულ-მასობრივი საქმიანობა, სისტემატურად ვუშვებთ კედლის გაზეთის ახალ ნომრებს. ლენტეხელი ახალგაზრდები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ყამირის უხვი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

**ბ. მელაძე,**
საქართველოს ალკკ ლენტეხის რაიკომის მდივანი.

კუსტანაის ოლქი, კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი".



ს უ რ ა თ ზ ე: სოხუმის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვებას" აგიტატორები ლ. ფარულავა (მარცხნივ) და შ. სიგუა მეჩაიეობის № 9 ბრიგადაში ამზადებენ საველე ფურცელს. ფოტო ნ. ჯომიდავასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

### „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „ნაკლოვანებანი მგზავრთა მომსახურებაში"

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსი ამხ. მგალობლიშვილი გვატყობინებს, რომ „კომუნისტის" 13 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ნაკლოვანებანი მგზავრთა მომსახურებაში" სწორად იყო ასახული თბილისის ავტოსატრანსპორტო სადგურში შექმნილი მდგომარეობა.

ავტოსატრანსპორტო სადგურის ადმინისტრაციამ მგზავრთა მომსახურების გასაუმჯობესებლად საჭირო და აუცილებელი ღონისძიება განახორციელა. ავტობუსების დგომის ადგილებში გაკრულია მარშრუტების მაჩვენებელი აბრები. ავტოსადგურის დირექტორი ავტობუსის გასვლამდე 10-15 წუთით ადრე რადიოთი ატყობინებს მგზავრებს ავტობუსის დგომის ადგილს და ჩასხდომის დაწყებას, ხოლო 2-3 წუთით ადრე აფრთხილებს მათ ავტობუსის გასვლის შესახებ.

თბილისის მოსახლეობის სრული და შეუფერხებელი მომსახურებისათვის ყოველდღიურად, განსაკუთრებით კი შაბათობითა და კვირაობით, დანიშნულია სატვირთო ტაქსების დამატებითი რეისები მანგლისში, თეთრწყაროში, კიკეთსა და კოჯორში. სატვირთო ტაქსები მოძრაობენ სპეციალური განრიგით, რომელიც სადგურში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

სათანადო ორგანიზაციების წინაშე დასმულია საკითხი სადგურში არსებული ჟურნალ-გაზეთების კიოსკისა და ბუფეტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

## „მეტი ყურადღება აგრონომიული სახელმძღვანელოების გამოცემას"

ამ სათაურით „კომუნისტში" გამოქვეყნებულ ვ. ჯინჯოლავას წერილთან დაკავშირებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა გვატყობინებს:

გამომცემლობის 1957 წლის თემატურ გეგმაში გათვალისწინებულია დოც. ა. ლორთქიფანიძის „ბოტანიკის" გამოცემა. ამჟამად დედანი მზადდება წარმოებისათვის გადასაცემად. წიგნი გამოვა მიმდინარე წლის ბოლომდე. რაც შეეხება ქიმიის სახელმძღვანელოს, გამომცემლობამ 1956 წელს გამოსცა პროფ. მ. შალამბერიძის წიგნი. ამის გარდა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ" გამოსცა ძიძაძის წიგნი — ქიმიის სახელმძღვანელო.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობას განზრახული აქვს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე დააყენოს საკითხი გლინკას „ზოგადი ქიმიის" ხელმეორედ გამოცემის შესახებ.

## ილია ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმი თბილისში

ორჯონიკიძის ქუჩაზე № 22 ერთსართულიან სახლში, სადაც 1901-1907 წლებში ცხოვრობდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო დღეებისათვის გაიხსნება მისი სახლი-მუზეუმი.

სახლ-მუზეუმში აღდგენილი იქნება ილია ჭავჭავაძის სამუშაო კაბინეტი იმდროინდელი ფოტოსურათის მიხედვით. აქ გადმოიტანენ მთელ საამისო მოწყობილობას, რომელიც ამჟამად საგურამოშია დაცული.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი აქ აწყობს სტაციონარულ-საიუბილეო გამოფენას. ამჟამად მეცნიერი თანამშრომლები აგროვებენ მასალებს ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარშემო. გამოვლინებულია ზოგიერთი საინტერესო მასალა, რომელიც შუქს ფენს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ მოღვაწეობას 60-იან წლებში, კერძოდ იმ ბრძოლას, რომელსაც იგი „საქართველოს მოამბის" დასაარსებლად და მის შესანარჩუნებლად ეწეოდა.

საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზით. აქ იქნება ილიას წერილები პროფესორ დ. ჩუბინიშვილის, ექ. გაბაშვილისა და სხვა მოღვაწეებისადმი. პირველად იქნება წარმოდგენილი „საქართველოს მოამბის" რედაქციის შენობათა ფოტოსურათები, ფოტოსურათი ჰაკეს პანსიონისა, სადაც სწავლობდა ილია ჭავჭავაძე, და სხვ.

## ლექციები, გამოფენები

ფ ო თ ი. (საქ. კორ.). შავი ზღვისპირა ქალაქ ფოთის საწარმო-დაწესებულებები, სკოლები, კულტურის კერები გულმოდგინედ ემზადებიან დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავად. ეწყობა საუბრები და მოხსენებები, იკითხება ლექციები მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. სკოლებში იმართება ლიტერატურული დილები და საღამოები. საქალაქო ბიბლიოთეკაში და სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო ილიას რჩეულ ნაწარმოებთა გამოფენები. სახელმწიფო დრამატული თეატრი, მეზღვაურთა და რკინიგზის კლუბები ამზადებენ მწერლის ნაწარმოებების მხატვრულ ინსცენირებას.

საქალაქო გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელი" პერიოდულად ბეჭდავს მასალებს თემაზე „ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები", „ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის არქივი", „ილია ჭავჭავაძე და ფოთი", „ილია ქართველი და რუსი ხალხის ურთიერთობის შესახებ". იუბილის დღისათვის მზადდება გაზეთის სპეციალური ნომერი.

### ვამოწმებთ კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობას

## დავიწყებული ვალდებულებები

საქართველოს პროფსაბჭოს საწარმოო-მასობრივმა განყოფილებამ შეისწავლა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკის საწარმოებში კოლექტიური ხელშეკრულებები.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას გადიდებული საწარმოო დავალებების შესრულება იკისრა. შემდეგ ამ კომბინატის კოლექტივი ჩაება ქალაქ რიგის ბამბის მაფსართავი ფაბრიკისა და საფეიქრო კომბინატის „სარაკანე ტექსტილნიცეს" კოლექტივებთან შეჯიბრებაში. რიგელებთან შეჯიბრებაში ჩაბმასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მეტრიკოტაჟეები ერთხმად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა განეხორციელებინათ კოლექტიური ხელშეკრულების ყველა მუხლი, ეს იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მთავარი საწინდარი. კომბინატის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, რომელსაც ამხ. ი. კობახიძე თავმჯდომარეობს, საფაბრიკო კომიტეტთან არსებულ მუდმივმოქმედ კომისიას დააკისრა კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების დროულად შესრულებისათვის თვალყურის დევნება. ასეთივე კომისიები არსებობენ საამქროებში. ამ კომისიებმა ურთიერთ ვალდებულებათა შესრულების მეთვალყურეობაში ჩააბეს ფართო მასები და შექმნეს ისეთი ვითარება, რომ არც ადმინისტრაციას და არც პროფორგანიზაციას არ ჰქონდა საშუალება უგულებელეყო რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა.

ასეთი მუშაობის შედეგი თვალსაჩინოა. კომბინატმა წარმატებით შეასრულა 8 თვის საწარმოო გეგმა, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, შეამცირა თვითღირებულება, მოგვცა რამდენიმე მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება და, როგორც 7 თვის შედეგების შედარებამ გვიჩვენა, არათუ არ ჩამორჩება, წინ უსწრებს თავის რიგელ ამხანაგებს.

ასევე კარგად მუშაობენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებისათვის მთელ რიგ სხვა საწარმოებში — ავჭალის შუშის ქარხანაში, თბილისის მოამინანქრებული ჭურჭლის ქარხანაში, რუსთავის ცემენტის ქარხანაში, თბილისის კერამიკულ კომბინატში და სხვა საწარმოებში.

მაგრამ ამასთან შემოწმების დროს გამოვლინებულ იქნა ისეთი საწარმოები, სადაც იანვარში ხელმოწერილი კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ურთიერთ ვალდებულებების დიდი ნაწილი როგორც საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ისე ადგილობრივმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დაივიწყეს მისცეს.

მაგალითად, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში (დირექტორი ამხ. ლ. აივაზოვი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლ. ვაინშტეინი) კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან 28 ვალდებულება შეუსრულებელია. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო საინსტრუმენტო საამქროში ახალი მოწყობილობის გამართვა, უნდა შეექმნათ პულვერიზატორები ყალიბების შესაღებად, მოეწყოთ ლენტური ტრანსპორტიორები და აემუშავებინათ ბუნკერები, დაემთავრებინათ ამწყობი საამქროს მარცხენა მალის მოასფალტება. არც ერთი ეს ღონისძიება შესრულებული არ არის.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა თბილისის საავეჯო კომბინატში (დირექტორი ამხ. მ. ლასურაშვილი, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ტუკვაძე). ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან აქ შეუსრულებელია ბევრი ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ წარმოების შემდგომი ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

კოლექტიური ხელშეკრულებების შეუსრულებლობა პროფკავშირული მუშაობის სისუსტის მაჩვენებელია. საწარმოთა პროფორგანიზაციებმა, საამქროთა პროფმუშაკებმა უნდა გამოაცოცხლონ ამ მხრივ მუშაობა, გამოიყენონ თავიანთი უფლებები და მიაღწიონ იმას, რომ ორმხრივი ვალდებულებები ყველგან შეუფერხებლად სრულდებოდეს.

**ა. შეშინა,**
საქართველოს პროფსაბჭოს საწარმოო განყოფილების ინსტრუქტორი.

## ურალელი მეგობრები

ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმულია ურალის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივთან.

ამ დღეებში ქუთაისში ჩამოვიდა ურალელ ავტომობილმშენებელთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ალექსეევი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ექსპერიმენტული საამქროს უფროსის მოადგილე ვ. ტრუბეევი, საწნეხი საამქროს მექანიკოსი ვ. კუზმინი და შასის საამქროს ამწყობი მ. სულინა.

დელეგაცია შეამოწმებს მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ორივე ქარხნის კოლექტივების მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ამასთან გაეცნობა ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა საქმიანობას, გაუზიარებს ურალელთა გამოცდილებას.

### პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

# პარტიული ორგანიზაციები და საშემოდგომო ხვნა-თესვა

ახორციელებს რა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხი უდიდეს წარმატებებს აღწევს სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობის საქმეში. პარტიის მიერ დასახულმა ამოცანამ — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ — საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა უდიდესი აქტივობა გამოიწვია. საშემოდგომო ხვნა-თესვის აგროტექნიკურ ვადებში ჩატარება უმნიშვნელოვანესი ეტაპია პარტიის მიერ დასახული ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სამეურნეო წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასებში პოლიტიკური აგიტაციის ფართოდ გაშლას. სწორედ ამიტომ პარტიის სიღნაღის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ საშემოდგომო ხვნა-თესვის პერიოდში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად. უწინარეს ყოვლისა გულდასმით შევისწავლეთ და შევარჩიეთ აგიტატორთა კადრები. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში 700-მდე აგიტატორი სისტემატურ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა მშრომელებთან. ბევრი მათგანი საგიტაციო საუბარში უნარიანად იყენებს ადგილობრივ ფაქტებს, ღრმად განუმარტავს კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს კოლმეურნეობებისა და მტს-ების წინაშე მდგომ ამოცანებს. ისინი გამოდიან სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. ყველას კუთვნილებად ხდიან მოწინავეთა გამოცდილებას, სწავლობენ მეურნეობის ამა თუ იმ უბანზე ჩამორჩენის კონკრეტულ მიზეზებს და რაზმავენ მშრომელებს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის საბრძოლველად.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საშემოდგომო თესვისათვის მზადების ამ გაცხარებულ დღეებში ტიბაანის, ულიანოვკის, ალაზნის მტს-ების, ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის", ძველი ანაგის სტალინის სახელობის და ტიბაანის კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული აგიტკოლექტივები. პარტბიუროები ეხმარებიან აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს სამუშაო გეგმების შედგენაში. აგიტკოლექტივების სემინარებზე აგიტატორები იღებენ საქმიან მითითებებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. უკანასკნელი ორი თვის მანძილზე აგიტკოლექტივების სემინარებზე განხილულია ისეთი საკითხები, როგორიც არის: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულზე შრომისა და მატერიალური დანახარჯების შემცირება, მთელი ძალები დავრაზმოთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს, აგროტექნიკურ ვადებში ჩავატაროთ საშემოდგომო ხვნა-თესვა და სხვ.

თუ წელს ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" უხვი მოსავალია მიღებული, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ამ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს. აღნიშნული კოლმეურნეობები სანიმუშოდ მოემზადნენ საშემოდგომო თესვისათვის. ღია პარტიულ კრებებზე საქმიან ვითარებაში განიხილეს საშემოდგომო თესვისათვის მზადების საკითხი, ხოლო შემდეგ უზრუნველყვეს დასახულ ღონისძიებათა შესრულება. მთლიანად არის მომარაგებული და თესვით კონდიციამდე აყვანილი თესლი. შემუშავებული არის და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე დამტკიცებულია თესვის გეგმა, მომზადებულია მთესავები და მოწყობილია მინდვრის ბანაკები. ბრიგადების მიხედვით გონივრულად არის განაწილებული ტრანსპორტი და მუშახელი. დამატებით გამოყოფილი არიან აგიტატორები, მიღებულია ზომები თვალსაჩინო აგიტაციის გასაძლიერებლად.

წნორის მტს-ის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ი. კაკაშვილი) სისტემატურ კონტროლს უწევს ხვნის ხარისხს. ამის შედეგად დროულად იქნა შენიშნული მეხუთე სატრაქტორო ბრიგადაში უხარისხოდ ხვნის ფაქტი. პარტბიურომ ეს ფაქტი დაუყოვნებლივ გახადა მსჯელობის საგნად. უხარისხოდ ხვნისათვის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს კომუნისტ გ. ხატიაშვილს მიეთითა. ცუდად შესრულებული სამუშაო კი შრომის აუნაზღაურებლად ხელმეორედ იქნა შესრულებული.

მინდვრის სამუშაოების, განსაკუთრებით საშემოდგომო ხვნა-თესვის მექანიზაცია პროდუქციის ერთეულზე შრომითი დანახარჯების შემცირების უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა. პროდუქციის ერთეულზე შრომითი დანახარჯის შემცირების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საშემოდგომო ხვნათესვაში სატრაქტორო პარკის გამართულ მუშაობას, ტრაქტორისტთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. რაიონის მტს-ებში ცოტანი როდი არიან მოწინავე მექანიზატორები, რომლებიც დავალებებს 150-200 პროცენტით ასრულებენ. თავდადებული შრომით სახელი გაითქვეს კომუნისტმა მექანიზატორებმა ე. ნატროშვილმა, მ. ლაზარიაშვილმა, შ. ნაცვლიშვილმა, ტ. მენთეშაშვილმა, ი. ზურაშვილმა, ვ. ტალიაშვილმა, ვ. ონოფრენკომ და სხვებმა, რომლებიც საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგანან.

ალაზნის მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ი. ზურაშვილი ხელმძღვანელობს, საშემოდგომო ხვნის გეგმა 124 ჰექტარის გადაჭარბებით შეასრულა და 385 კილოგრამი საწვავი დაზოგა. მ. ლაზარიაშვილის სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორებმა გეგმით გათვალისწინებული 800 ჰექტარიდან საშემოდგომოდ უკვე მოხნეს 760 ჰექტარი, ხოლო შ. ნაცვლიშვილის, ი. ბაიდოშვილის, ნ. ალადაშვილის სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორებს საშემოდგომო ხვნის დავალება 80-90 პროცენტით აქვთ განაღდებული.

რაიონის კოლმეურნეობებმა 26 ათას ჰექტარზე მეტი საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები უნდა დათესონ. ამ დავალების შესასრულებლად კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევს ოთხი მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელთაც მძლავრი სატრაქტორო პარკი აქვთ. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გასულ წელს ზოგიერთი კოლმეურნეობა, მტს-ი, სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადა ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებდა ამ მდიდარ ტექნიკას, სათანადო მუშაობას არ ეწეოდა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის, ხოლო ცალკეული პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველივე ამას გვერდს უვლიან და გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

იმისათვის, რომ გასული წლის შეცდომები არ იქნას გამეორებული, პარტიის სიღნაღის რაიკომმა ჯეროვანი მოსამზადებელი მუშაობა გასწია 1958 წელს უხვი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად. მოსავლის აღების დამთავრებისთანავე რაიკომის ბიურომ განიხილა საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადების საკითხი. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, მტს-ების დირექტორებს და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს დაევალათ მთლიანად შეაგროვონ ნამჯა, გაწმინდონ ფართობები და უახლოეს ხანში დაამთავრონ თავთავიანი მარცვლეული კულტურებისაგან განთავისუფლებული ნაკვეთების მოხვნა. რაიკომის ინსტრუქტორთა საშუალებით მოხდა ამ დავალების შესრულების შემოწმება. გამოირკვა, რომ მექანიზატორებმა ჯერ კიდევ 28 აგვისტოსათვის დაამთავრეს საადრეო საშემოდგომო ხვნა, უკვე მოხნულია 17 ათასი ჰექტარი.

პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილებით კოლმეურნეობებს დაუწესდათ თესლის გამოყოფისა და გაწმენდის კონკრეტული ვადები. ამ საქმისადმი ხელმძღვანელობა მტს-ებისა და კოლმეურნეობების აგროსპეციალისტებს დაევალათ. თესლის მომზადების საქმეში მისაბაძია ალაზნის მტს-ის ზონის კოლმეურნეობების მუშაობა. მათ მოკლე დროში გაწმინდეს და საგულდაგულოდ დააბინავეს 893 ტონა ხორბლისა და 170 ტონა ქერის თესლი. მარტო კომუნისტმა ა. კანდელაკიშვილმა, რომელიც მარცვალსაწმენდ „ვიმს" ამუშავებდა, 300 ტონა თესლი გაწმინდა. მიღებულია ზომები იმისათვის, რომ 5.800 ჰექტარზე მთლიანად ჯიშიანი ხორბლის თესლი „ნოვოუკრაინკა 83" და „მოწინავე" დაითესოს. ვინაიდან ზოგიერთ კოლმეურნეობას არ ჰქონდა საკმარისი ჯიშიანი თესლი, 150 ცენტნერი თესლი გადაცვლის წესით შემოტანილ იქნა წითელწყაროს რაიონიდან. ამ გზით უკვე დამზადებულია 40.000 ცენტნერზე მეტი ხორბლისა და 5.200 ცენტნერი ქერის თესლი. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თესლის კონდიციამდე აყვანა. თესლის კონდიციამდე აყვანა უკვე დაამთავრეს ულიანოვკის, ნუკრიანის, მაჩხაანის მახარაძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ამას წინათ გაიმართა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მტს-ების დირექტორების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების და აგროსპეციალისტების რაიონული თათბირი საშემოდგომო თესვისათვის მზადებისა და მისი ორგანიზებულად ჩატარების საკითხებზე. თათბირმა შეიმუშავა საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმა, რომელიც ამ სამუშაოს 25 ოქტომბრამდე დამთავრებას ითვალისწინებს. ამ დღეებში საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადების საკითხი განიხილეს მტს-ებისა და კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე და შეიმუშავეს საშემოდგომო ხვნა-თესვის ჩატარების კალენდარული გეგმები, რომლებითაც გათვალისწინებულია ცალკეულ ფართობებზე თესვისა და ნაკვეთებში სასუქების შეტანის ვადები, აგრეთვე განსაზღვრულია თესლის ხარჯვის ნორმები. შირაქში თესვის საუკეთესო ვადაა 20 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე, ხოლო ალაზნის ველზე — 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე. აქედან გამომდინარე ალაზნის მტს-ის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტები, როცა თავიანთ კრებაზე თესვის ზემოთ აღნიშნული ვადები დააწესეს, ცალკეული ნაკვეთების თავისებურებათა გათვალისწინებით თესვის სხვადასხვა ვადები იქნა დაწესებული აგრეთვე დანარჩენ მტს-ებსა და კოლმეურნეობებშიც.

წელს საშემოდგომო თესვა მთლიანად მოწინავე მეთოდებით — ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად ჩატარდება, რაც შემდგომ გაზრდის მოსავლიანობას. 20 სექტემბრიდან რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდება საშემოდგომო თესვა. სიღნაღის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სათავეში უდგანან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებას, სოფლის მეურნეობის მშრომელებს აღაფრთოვანებენ და არაზმავენ საშემოდგომო ხვნა-თესვის აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, მომავალი წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის საბრძოლველად.

**ზ. ბიძინაშვილი,**
საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანის პასუხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილზე

[illegible]

ელჩი სსრ კავშირში სერი პატრიკ რაილი, რომელმაც გადასცა მას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანის საპასუხო წერილი.

ჰ. მაკმილანის წერილი შეიცავს მტკიცებას, რომ ინგლისის მთავრობის და კანადის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობათა წინადადებანი განიარაღების საკითხზე დიდმნიშვნელოვანი წვლილია ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევის საქმეში. ამავე დროს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უკმაყოფილებას გამოთქვამს განიარაღების ქვეკომიტეტში სსრ კავშირის წარმომადგენლის „გამოსვლის შინაარსის“ გამო, რომელმაც ჩამოაყალიბა საბჭოთა მთავრობის პოზიცია შეიარაღების შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხებზე.

ევროპის უშიშროებისა და გერმანიის გაერთიანების პრობლემის შესახებ პასუხში დამოწმებულია ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი განცხადება, რომელიც მიმდინარე წლის 29 ივლისს გამოქვეყნდა ბერლინში. პასუხი შეიცავს აგრეთვე მტკიცებას, რომ ნატოს წევრ სახელმწიფოებს თითქოს „ნებაყოფლობით და ცალმხრივად“ ეკისრეთ ვალდებულე-

[illegible]

პრობლემების კონკრეტულ ანალიზს ან წინადადებებს მათი გადაჭრის შესახებ.

პასუხში აღიარებულია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიური კავშირურთიერთობის განმტკიცებას, რათა ხელი შეეწყოს უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას სსრ კავშირსა და ინგლისს შორის, მაგრამ ამასთანავე იგი იცავს დისკრიმინაციული შეზღუდვების პოლიტიკას, რასაც ინგლისის მთავრობა ახორციელებს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში. წერილში შემდეგ ნათქვამია, რომ „ბრიტანეთის მთავრობა არ ქმნის რაიმე დაბრკოლებას, რამდენადაც საქმე ეხება არაოფიციალურ ღონისძიებებს“ კულტურული კავშირურთიერთობის დარგში. ამავე დროს იგი ცდილობს ინგლისის საზოგადოებრივი აზრის დამოწმებით გაამართლოს ინგლისის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ზღუდავს კულტურულ გაცვლას ინგლისსა და სსრ კავშირს შორის.

პასუხში კვლავ აღძრულია სსრ კავშირსა და ინგლისს შორის ურთიერთ რადიოგადაცემათა საკითხი.

დასასრულ თავის წერილში ჰ. მაკმილანი ამბობს, რომ ურთიერთგაგების მიღწევისათვის საჭიროა გულწრფელობა და შემწყნარებლობა, რომელთა პირობებში შესაძლებელი იქნება გამოინახოს შეთანხმების საფუძველი.

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მხარს უჭერს სირიელი ხალხის ბრძოლას

**დამასკო, 17 სექტემბერი. (საკდესი).** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სირიაში ჩენ ჯი-ფანმა სირიის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელიც შეიცავს განცხადებას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მხარს უჭერს სირიას ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, აგრეთვე დაგმობილია ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკა სირიის მიმართ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის უკანასკნელი განცხადება.

კომენტარი გაუკეთა რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ნოტას სირიის პრემიერ-მინისტრმა საბრი ასალიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „ეს ნოტა მოწმობს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მხარს უჭერს ჩვენს ბრძოლას და რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მზად არის დახმარება გაგვიწიოს როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ჩვენი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. ეს კეთილშობილური პოზიცია მხურვალედ უნდა მოიწონონ სირიის ხალხმა, მთავრობამ და არმიამ. დიდ მადლობას ვუძღვნით ამ დიდ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ხალხთა დამოუკიდებლობისათვის მხარდაჭერის გამო“.

ამ ნოტისადმი მიძღვნილ სპეციალურ სტატიაში გაზეთი „ჩან-ნური“ მაღალ შეფასებას აძლევს სახალხო ჩინეთის პოზიციას სირიელი ხალხის ბრძოლისათვის მხარდაჭერის საქმეში და აღნიშნავს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დიდი საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ მტკიცედ აცხადებს, რომ მხარს უჭერს სირიას ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ იმპერიალისტური ზეგავლენის წინაშე.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხმა ჩააფიქრებს „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ შემოქმედთ, სანამ რაიმე პროვოკაციას მოაწყობდნენ სირიის წინააღმდეგ.

# ალჟირის კომპარტიის განცხადება

**პარიზი, 17 სექტემბერი. (საკდესი).** ალჟირის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ახალ კანონპროექტს ალჟირის სტატუსის საფუძვლების შესახებ, რაც საფრანგეთის მთავრობამ შეიმუშავა. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ალჟირელი ხალხი, ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ეს სტატუტი მიაჩნია ფრანგ კოლონიზატორთა ნასუფრალად, არასოდეს არ დათანხმდება ამ სტატუტზე.

# საფრანგეთის პარლამენტის საგანგებო სესია

**პარიზი, 17 სექტემბერი. (საკდესი).** დღეს გაიხსნა საგანგებო სესია პარლამენტისა, რომელმაც ვადაზე ადრე შეწყვიტა საზაფხულო არდადეგები. როგორც ცნობილია, პარლამენტის ვადამდე მოწვევას ითხოვდა ბევრი დეპუტატი, მათ შორის კომუნისტური პარტიის ჯგუფის წარმომადგენლები. ამ დეპუტატებს საჭიროდ მიაჩნდათ მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის დაუყოვნებლივ განხილვა. მთავრობის ღონისძიებებმა სოფლის მეურნეობის და, კერძოდ, ფასების დარგში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საფრანგეთში. ეკონომიური პრობლემები პირველ პუნქტად არის შეტანილი დღის წესრიგში.

მთავრობისათვის უფრო დიდმნიშვნელოვანია დღის წესრიგის მეორე პუნქტი — კანონპროექტი ალჟირის ახალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მოწყობის შესახებ.

ეროვნული კრების დღევანდელი სხდომა მალე შეწყდა. შემდეგ სხდომებზე დაიწყება განხილვა დეპუტატების ინტერპელაციებისა ეკონომიურ საკითხებზე.

# ისრაელის ახალი პროვოკაციები სირიის წინააღმდეგ

**ათენი, 18 სექტემბერი. (საკდესი).** აქ ცნობილი გახდა, რომ ისრაელის ხელისუფლები შეუდგნენ არაბ გლეხთა კუთვნილი „სადავო მიწების“ დაკავებას, რომლებიც მდებარეობს დემილიტარიზებულ ზონებში სირია-ისრაელის საზღვარზე.

რამდენიმე დღის წინათ ისრაელებმა ოთხი ტრაქტორი გაგზავნეს დემილიტარიზებულ ზონაში ტიბერიადის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ტრაქტორებს ჯავშნიანი მანქანები იცავდნენ. ისრაელის ხელისუფალთა ეს პროვოკაციული მოქმედება იყო მიზეზი სროლისა, რაც დაიწყო ისრაელ და სირიელ მესაზღვრეთა შორის. სროლის დროს იყვნენ მოკლულნი და დაჭრილნი.

ათენში მიღებულია ისრაელის გაზეთი „ინფორმასიონი“, რომელიც იუწყება, რომ დემილიტარიზებულ ზონებში ისრაელები ჯავშნიანი მანქანების დაცვით „ტოპოგრაფიულ მუშაობას“ აწარმოებენ, რომლის დროსაც „სადავო“ სოფლის მცხოვრებლები იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ საკუთარი სახლები და სირიაში წასულიყვნენ.

სირია-ისრაელის საზღვარზე „სადავო მიწების“ დასაკავებლად ისრაელის მოქმედება ადგილობრივ ჟურნალისტთა წრეებში აშკარა პროვოკაციულ მოქმედებად მიაჩნიათ. განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ისრაელი ამ პროვოკაციებს შეუდგა სწორედ ახლა, იმ მომენტში, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები გაძლიერებულ ზეგავლენას ახდენენ სირიაზე.

# ტაილანდის ამბები

**ბანგკოკი, 17 სექტემბერი. (საკდესი).** 16 სექტემბერს ღამით ტაილანდის სახმელეთო ძალების მთავარსარდალმა მარშალმა სარიტ ტანარატმა, რომელიც მეთაურობდა გადატრიალებას, ჯარების დახმარებით დაიკავა დედაქალაქის ყველა სტრატეგიული პუნქტი, მათ შორის ფოსტამტი და საპოლიციო უბნები. ტაილანდის არმიის სარდლობამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიაც ნათქვამია, რომ არმიამ, სამხედრო-საზღვაო ფლოტმა და სამხედრო-საჰაერო ძალებმა „კონტროლი დაამყარეს ყველა მთავარი ობიექტისადმი“.

ტაილანდის მეფემ დღესვე გამოსცა ბრძანებულება იმის შესახებ, რომ ტაილანდის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია სამხედრო წესები. „იმის გამო, რომ მთავრობამ, რომელსაც სათავეში ედგა პრემიერი მარშალი პიბუნსონგრამი, ვერ განახორციელა ტაილანდის მართვა ისე, რომ ამას ხალხის ნდობა გამოეწვია, და ვერ დაიცვა კანონიერება და წესრიგი, — ნათქვამია მეფის ბრძანებულებაში, — სამხედრო ჯგუფმა მარშალ სარიტის მეთაურობით ხელთ იგდო მთავრობის ძალაუფლება. ამიტომ მარშალი სარიტი დავნიშნე სამხედრო საქმეთა რწმუნებულად დედაქალაქში“.

არმიის რადიოსადგურმა გადასცა სარიტ ტანარატის მიმართვა ტაილანდის მოსახლეობისადმი, სადაც მან აღნიშნა: იმის გამო, რომ „პრემიერ-მინისტრ პიბუნსონგრამს არ შესწევდა უნარი ქვეყნის მართვისა“ ახლანდელ ვითარებაში, როცა ტაილანდი „ხვდება რთულ პრობლემებს“, სამხედრო ჯგუფმა წაართვა ძალაუფლება მთავრობას, „რომელიც მას არ აკმაყოფილებს“.

კრიზისს ტაილანდში წინ უძღოდა ურთიერთობის მკვეთრი გამწვავება პიბუნსონგრამის მთავრობასა და არმიის წრეებს შორის, რომლებიც პიბუნსონგრამისაგან მოითხოვდნენ კაბინეტის ძირეულ რეორგანიზაციას და მათთვის სასურველ პირთა შეყვანას კაბინეტის შემადგენლობაში.

კონფლიქტი განსაკუთრებით გამწვავდა რამდენიმე დღის წინათ, როცა მთავრობიდან გამოვიდნენ მთელი რიგი მინისტრები, მათ შორის თავდაცვის მინისტრი სარიტ ტანარატი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახლანდელ სახელმწიფო გადატრიალებას.

როგორც გაზეთი „ბანგკოკ უორლდი“ იუწყება, არ იციან, თუ სად იმყოფება, ან რა ბედი ეწია პრემიერ-მინისტრ პიბუნსონგრამს.

# გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

**ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. (საკდესი).** დღეს გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია. პირველი სხდომა მიეძღვნა ასამბლეის თავმჯდომარისა და ვიცე-თავმჯდომარეების და კომიტეტთა თავმჯდომარეების არჩევას.

**ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი).** როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ 22 საათსა და 23 წუთზე მოსკოვის დროით აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია. სესიის გახსნისას ვან ვაითხაიაკონმა (ტაილანდი) განაცხადა, რომ თუ სესიამ შეძლო დადებითი ნაბიჯის გადადგმა განიარაღების საქმეში, ამ ნაბიჯს მიესალმება მთელი მსოფლიო. ვან ვაითხაიაკონმა იმედი გამოთქვა, რომ სესიაზე მიღწეულ იქნება პროგრესი ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიც არის ალჟირისა და კვიპროსის საკითხები. მან XII სესიის მონაწილეებს, რომელზეც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ნახევარზე მეტის წარმომადგენლები საგარეო საქმეთა მინისტრები არიან, უსურვა „წარმატებითი საქმიანობა მშვიდობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის საკეთილდღეოდ, კაცობრიობის საკეთილდღეოდ“.

სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ ასამბლეა შეუდგა თავმჯდომარის არჩევას. მექსიკის წარმომადგენელმა მოუწოდა სესიას, რომ ამ პოსტზე დასახელებული ორი კანდიდატიდან ერთს მოეხსნა თავისი კანდიდატურა, რათა ასამბლეის თავმჯდომარე ერთხმად ყოფილიყო არჩეული. ამის შემდეგ ლიბანის დელეგაციის მეთაურმა შარლ მალიქმა მოხსნა თავისი კანდიდატურა.

გენერალური ასამბლეის თავმჯდომარედ ამ სესიაზე ფარული კენჭისყრით არჩეულია ლესლი მუნრო (ახალი ზელანდია). მან 77 ხმა მიიღო; სამმა დელეგაციამ თავი შეიკავა და ერთი ხმა მიიღო მალიქმა.

გამოვიდა რა როგორც გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე, მუნრომ მოითხოვა, რომ ასამბლეამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს განიარაღების საკითხებს. შეთანხმების მიღწევა, რა შეზღუდულიც უნდა იყოს იგი ამ ეტაპზე, თქვა მუნრომ, უფრო საჭირო და სასწრაფო ხდება იმისდა მიხედვით, რაც უფრო ძლიერდება თანამედროვე იარაღის გამანადგურებელი ძალა... ამ საკითხისა და იმ სხვა საკითხთა გადაჭრის ძიება, რომლებსაც აქ განვიხილავთ, მოითხოვს ჩვენგან მაქსიმალურ მოთმინებას, კეთილ ნებასა და ურთიერთგაგებას.

შემდეგ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით ასამბლეამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღო მალაიის ფედერაცია. მალაია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 82-ე სახელმწიფო გახდა.

# ამერიკის რეზოლუცია ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ გამო ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს

**ბუდაპეშტი, 17 სექტემბერი. (საკდესი).** გაზეთმა „ნეპსაბადშაგმა“ დღეს სარედაქციო სტატია დაბეჭდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის დამთავრებასთან დაკავშირებით. სტატიაში ნათქვამია, რომ ვერავითარი პრაქტიკული შედეგი ვერ მოჰყვება რეზოლუციას, რომელიც „ხუთთა კომიტეტის“ მოხსენების გამო მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით. მაგრამ არ შეიძლება გულგრილად მოვეკიდოთ ამ რეზოლუციას, რადგან იგი ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს. უნგრელი ხალხი სწორედ იმიტომ გმობს ამ რეზოლუციის მიღებას, რომ იგი სრულიადაც არ უწყობს ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის დაცვას.

ეხება რა რეზოლუციის იმ ნაწილს, რომელშიც მოყვანილია ლიტონი მტკიცება, თითქოს უნგრეთში ხალხი „კვლავ განიცდის უბედურებას“, გაზეთი „ნეპსაბადშაგი“ კითხულობს: თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებმაც გენერალურ ასამბლეას თავს მოახვიეს რეზოლუცია, ნამდვილად აწუხებს უნგრეთის უბედურება, ნოემბრის შემდეგ რა მიზეზით მოიხსნა ისე სწრაფად დღის წესრიგიდან 20 მილიონი დოლარი დახმარების საკითხი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა აღუთქვეს უნგრეთს? შეიძლება ითქვას, წერს შემდეგ გაზეთი, მათ სწორედ ის აწუხებთ, რომ სოციალისტურ უნგრეთში კვლავ მაღლდება წარმოების დონე, რომ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. იმ მტკიცებათა წინააღმდეგ, რომლებსაც რეზოლუცია შეიცავს, უნგრელ ხალხს არა მარტო არ დაურღვევია საზავო ხელშეკრულება, არამედ, პირიქით, ამ ხელშეკრულების შესაბამისად მოიქცა, როცა 4 ნოემბრის შემდეგ განახორციელა ღონისძიებანი უნგრეთის ტერიტორიაზე ყველა ფაშისტური პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციის სალიკვიდაციოდ და მას შემდეგ არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ასეთი ორგანიზაციები შეიქმნას, არსებობდეს და მოქმედებდეს. ამავე მიზანს ემსახურება კონტრრევოლუციის განადგურებაც. ყველას, წერს დასასრულ „ნეპსაბადშაგი“, ვინც იცნობს უნგრეთის ნამდვილ მდგომარეობას, შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს, რა ემსახურება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს და საზავო ხელშეკრულების შესრულებას — გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე მიღებული რეზოლუცია თუ უნგრეთის მდგომარეობის კონსოლიდაცია.

# „ამერიკის შეერთებული შტატები დაძაბულობას ქმნიან ყველგან, სადაც კი შეუძლიათ“

**დელი, 16 სექტემბერი. (საკდესი).** „დელი ტაიმსი“ მოწინავე სტატიაში წერს: „ჩვენ შეერთებულ შტატებს ბრალად ვდებთ, რომ ისინი აუარესებენ ადამიანთა საზოგადოებებს შორის ურთიერთობას ყველგან, სადაც კი მოახერხებენ. ყველგან, სადაც ვლინდება სიძულვილი, ყველგან, სადაც ვრცელდება ყალბი პროპაგანდა, ყველგან, სადაც გროვდება იარაღი, რათა გამოიყენონ იგი ძმათა წინააღმდეგ სამშობლოში და ძმათა წინააღმდეგ უცხოეთში, — ყველგან ურევია ამერიკის ხელი.

ამერიკის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით რუზველტის სიკვდილის შემდეგ პერიოდში, ხელს უწყობდა ყოველგვარ დაძაბულობას და ყოველგვარ ძმათასაკლავ ომს ეროვნულ საზღვრებში და სუვერენულ ქვეყნებს შორის, რომელნიც უმისოდ ასე თუ ისე მოაგვარებდნენ თავიანთ უთანხმოებას, რომ არ იყვნენ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის აგენტები, რომლებიც მათ აწვდიან ქვემეხებს, ტანკებს, თვითმფრინავებს და ატომგულის იარაღსაც კი; ეს წინადადებანი ორ მოვლენას იწვევენ: სისხლისღვრას და ცრემლებს ამერიკის საზღვრებს დაშორებულ ადამიანთა ოჯახებში და ამერიკის ეკონომიკის კეთილდღეობას“... შეერთებულმა შტატებმა, წერს გაზეთი, სწორედ ამგვარად გამოიწვიეს სამხარი კონფლიქტები კორეაში, ინდოჩინეთსა და სხვა ადგილებში.

ახლა კი, განაგრძობს გაზეთი, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ ერთმანეთს მიუსიონ არაბები და ბრძოლის ველად გადააქციონ შუა აღმოსავლეთი. საჭიროა იმის შეგნება, რომ ყველა ეს ადგილობრივი კონფლიქტი აძლიერებს დაძაბულობას ორ ბლოკს შორის, რადგან ამერიკა უარყოფს რუსეთის ყოველგვარ მშვიდობიან ინიციატივას, განიარაღების შესახებ ყოველგვარ წინადადებას, რომელიც რუსეთს შეაქვს.

# ამერიკის თვითმფრინავები არღვევენ ეგვიპტის საჰაერო სივრცეს

**კაირო, 17 სექტემბერი. (საკდესი).** როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი“ იუწყება, ამერიკის მე-6 ფლოტის ხომალდების მანევრის დროს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ამერიკის საზღვაო ავიაციის რამდენიმე თვითმფრინავი მიუახლოვდა ეგვიპტის ტერიტორიულ წყლებს ალექსანდრიის ნავსადგურის რაიონში და ერთ ხანს იყო ამ ზონაში.

ამასთან დაკავშირებით, აღნიშნავს გაზეთი, ეგვიპტის ხელისუფლები გაფრთხილებას იძლევიან, რომ ეგვიპტე არ აგებს პასუხს იმ შედეგებისათვის, რომლებიც შეიძლება მოხდეს, თუ ამერიკის რომელიმე თვითმფრინავმა დაარღვია ეგვიპტის საჰაერო სივრცე.

# სრულიად ინდონეზიის ეროვნული კონფერენციის სამხედრო კომისიამ მუშაობა დაამთავრა

**ჯაკარტა, 17 სექტემბერი. (საკდესი).** როგორც ანტარას სააგენტო იუწყება, გუშინ საღამოს წარმატებით დაამთავრა მუშაობა სრულიად ინდონეზიის ეროვნული კონფერენციის სამხედრო კომისიამ. მიღწეულია სრული გადაჭრა საკითხის, რომელიც ეხება ინდონეზიის არმიაში შექმნილ მდგომარეობას.

დღეს აღმოსავლეთ იავის სამხედრო ოლქის სარდალმა პოლკოვნიკმა სარბინიმ კონფერენციის მონაწილე ყველა სამხედრო მოღვაწის სახელით დადო ფიცი ლოიალობისა და არმიის შესახებ ყველა გადაწყვეტილების მიმართ, რომლებსაც მიიღებენ მთავრობა და სპეციალურად შექმნილი „შვიდთა კომიტეტი“. „შვიდთა კომიტეტში“ შედიან პრეზიდენტი სუკარნო, დოქტორი ხატა, პრემიერ-მინისტრი ჯუანდა, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ლეიმენი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი აზის სალეჰი, ჯოკიაკარტის სულთანი ბუვონო და ინდონეზიის არმიის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ნასუტიონი.



**სურათზე:** დუშეთის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი ზ. დიაკვნიშვილი ფორტეპიანოზე ამეცადინებს პირველი კლასის მოწაფეს მანანა გეჯაძეს. ფოტო შ. გოქაძისა

იყო დრო, როდესაც საქართველოში მუსიკალური სკოლები მხოლოდ ზოგიერთ ქალაქში იყო გახსნილი. ახლა კი, როცა ყოველწლიურად იზრდება ახალგაზრდობის სწრაფვა განათლების მიღებისადმი, მუსიკალურ სკოლებს შეხვდებით არა მარტო ბარში, არამედ მთაშიც. კოლმეურნეების, სოფლის ინტელიგენციის შვილებს საშუალება აქვთ შეისწავლონ ფალიაშვილისა და ჩაიკოვსკის, ბახისა და შუბერტის, მოცარტისა და სხვა გამოჩენილ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

# ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის საიუბილეო საღამო

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ გამოჩენილი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის დაბადების ასი წლისთავს.

ორშაბათს, 16 სექტემბერს, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ მოაწყეს ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შალვა დადიანმა. მოხსენებები წაიკითხეს: თეატრმცოდნემ ნათელა ურუშაძემ — „ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის შემოქმედება“ და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ბუხნიკაშვილმა — „ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი და ქართული თეატრი“.

სიტყვებით, მოგონებებით და ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის ნაწარმოებების კითხვით გამოვიდნენ პროფესორი აკაკი ფაღავა, მწერალი სერგო კლდიაშვილი, ინჟინერი ერეკლე ლუკაშვილი და გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ივანე რუსინოვი.

დასასრულ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა — რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გიორგი დავითაშვილმა და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თამარ ბაქრაძემ წარმოადგინეს სცენა ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის პიესიდან „ღალატი“.

# ახალი საზაფხულო კინოთეატრი

**თელავი. (საკ. კორ.).** მშრომელებმა კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს. ახალ ბაღში დამთავრდა 330-ადგილიანი საზაფხულო კინოთეატრის მშენებლობა, რომელზეც 239 ათასი მანეთი დაიხარჯა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის ქალაქში დამთავრდება აგრეთვე საზამთრო კინოთეატრის მშენებლობა.

# ფეხბურთის ვეტერანთა შეჯიბრება

დაიწყო ვეტერან ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება, რომელიც მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი.

მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე პირველად ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები. მოსკოველმა მაყურებელმა კვლავ იხილა საბჭოთა ფეხბურთის სახელმოხვეჭილი ოსტატები. გუნდები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: მოსკოვი — კოჩეტოვი, ნაზაროვი, კოჩეტკოვი, სემიჩასტნი, ლ. სოლოვიოვი, სოლომატინი, გრინინი (ტროფიმოვი), ბობროვი, ფედოტოვი (ბესკოვი), ნ. დემენტიევი, ს. სოლოვიოვი; თბილისი — კავსაძე, კიკნაძე, ლოგინოვი, სარჯველაძე, ჭელიძე, ლოლაძე, ა. პაიჭაძე, ანთაძე, პანიუკოვი, აროშიძე, საკაშვილი (ნარიმანიძე). თბილისელთა შემადგენლობას აკლდა ბ. პაიჭაძე და გ. გაგუა.

თამაშის დაწყებიდან მე-4 წუთზე გ. ფედოტოვმა კარგად გამოიყენა ვ. ბობროვის მიწოდება და გახსნა ანგარიში. მიუხედავად ორმხრივი იერიშებისა, შეხვედრის პირველ ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა.

შესვენების შემდეგ პირველსავე წუთზე ა. პაიჭაძემ ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. მოსკოველებმა თამაშში ჩაბეს ახალი ძალები — კ. ბესკოვი და ვ. ტროფიმოვი (გრინინისა და ფედოტოვის ნაცვლად), რამაც დიდი გარდატეხა მოახდინა. ტროფიმოვმა, ბესკოვმა და ბობროვმა დამატებით სამი ბურთი გაიტანეს და მოსკოველებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4 : 1.

ასპარეზობას სჯიდა უსოვი (მოსკოვი).

# სსრ კავშირის პირველობაზე

## „ა“ კლასი

**მოსკოვი, 17 სექტემბერი.** „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე ჩვენი ქვეყნის 1957 წლის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბისა (მოსკოვი) და კიშინიოვის „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელთა გუნდები.

შეხვედრა დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით 6 : 1.

რედაქტორის მოადგილე
**რ. ქურციკიძე.**


**1957 წლის 20 სექტემბრიდან დაიწყება ხელმოწერის მიღება ყველა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ ჟურნალ-გაზეთებზე 1958 წლისათვის საწარმო-დაწესებულებებისაგან, ფაბრიკა-ქარხნებისაგან, კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისაგან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან და სასწავლებლებისაგან სასამსახურო საჭიროებისათვის გადარიცხვით.**

გადარიცხვით ხელმოწერის მიღება გაგრძელდება მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე.

ამ ვადის შემდეგ წარმოდგენილი მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილების გარანტიას „სოიუზპეჩატი“ არ იძლევა.

ინდივიდუალური ხელმოწერის მიღება მოსახლეობისაგან დაიწყება ყველგან 1957 წლის პირველი ოქტომბრიდან.

„სოიუზპეჩატი“.

**დისერტაციის დაცვა**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (მელიქიშვილის ქ. № 10)**

ა. წ. 1 ოქტომბერს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გიორგი პორფილეს-ძე ადამია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ღვიძლის ძირითადი ფუნქციების, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების ცვლილებები აქტიური მალარიის დროს“.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

**სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექცია** აწარმოებს სეზონური კონტროლიორების მიღებას.

ცნობებისათვის მიმართეთ სტადიონის კანცელარიას.

დირექცია.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი
19 სექტემბერს
**ფეხბურთი**
სსრ კავშირის პირველობა
„ბ“ კლასის გუნდებს შორის
„კაირატი“ (ალმა-ატა)
**სამხედრო საოლქო სპორტული კლუბი**
(თბილისი)
დასაწყისი 5 ს. 30 წ.


მეუღლე კლავდია, შვილები ქეთევან, ნიკოლოზ, და თამარ ანანიაშვილი, ძმა ალექსანდრე, რძალი ნ. გარსიაშვილი, სიძე ლ. ელიავა იუწყებიან საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის
**მიხეილ სერგის-ძე დავითაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-IX, 8 ს. გამოსვენება 21-IX, 5 ს. კოოპერაციის ქ. № 9 (დიდუბე).

მეუღლე სუსანა, შვილები თეიმურაზ, მარიამ, ძმა სიმონ, და სოფიო, რძალი ნინო ტაბიძეები, სიძეები აბელ კიკვიძე, გიორგი ლორთქიფანიძე, ალექსი ანდრიაძე ოჯახებით იუწყებიან
**იოსებ იუსტინეს-ძე ტაბიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-IX, 8 ს. გამოსვენება 21-IX, 5 ს. მაჩაბლის ქ. № 13.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკები იუწყებიან
**ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ ღლონტის**
გარდაცვალებას.

ძმები ვანო, ბესარიონ, ვენერა, ლენა, თამარ, სიმონ, გიგუცა, ნოდარ ვარდოსანიძეები, ოთარ გველესიანი ოჯახებით იუწყებიან
**თამარ გიორგის ასულ ვარდოსანიძე-იონოზემცევას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IX სოფ. ზოვრეთში (ზესტაფონის რ.).

შვილები კოტე, შალვა, ოთარ, თამარ, ქეთო, რძლები საიდა, გულიკო, სიძეები სიმონ, მიხეილ იუწყებიან
**ნინო ალექსანდრეს ასულ ბერიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-IX, 8 ს. გამოსვენება 21-IX, 4 ს. გუდაურის ჩიხი № 3.

დედა საშა; თინა, ტიტიკო ჭუმბურიძეები, ბენო თათარიშვილი ოჯახებით იუწყებიან
**ნესტორ დარისპანის-ძე ლაბაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 19-IX, 5 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. № 5-7.

მეუღლე აგრაფინა, შვილი მერი, სიძე გ. რობაქიძე ოჯახით, ლიდა, აკაკი ჯავარშეიშვილები იუწყებიან
**ალექსანდრე ივანეს-ძე ფრუიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20, 21-IX, 8 ს. გამოსვენება 22-IX, 4 ს. მარჯანიშვილის ქ. № 48.

ქ. თბილისის 56-ე საშუალო სკოლის დირექცია, პარტორგანიზაცია და პედკოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებლის
**სოფიო გრიგოლის ასულ ბუნიატოვას**
გარდაცვალებას.

მეუღლე ქენია, შვილი ბელა, და მარიამ, ძმა ალექსანდრე იუწყებიან
**ივანე ვლადიმერის-ძე ბურძგლას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IX ქ. მახარაძეში, გამოსვენება ბინიდან ნინოშვილის ქ. № 25.

მეუღლე ვლადიმერ, შვილები კოტე, ნადია, მშობლები კოტე, ნინო, სიძე ვ. ჭყონია ოჯახებით იუწყებიან
**ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ ნასყიდაშვილი-ღლონტის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-IX, 8 ს. გამოსვენება 21-IX, 4½ ს. კაშენის ქ. № 8.

შვილები ვლადიმერ, ქენია, თამარ, რძალი ვალიდა, სიძეები პ. ჭიქაძე, ა. აგამიროვი შვილებით იუწყებიან
**ფაქიზო დიმიტრის ასულ ბოკუჩავა-თურქიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-IX სოფ. გაუწყინარში (აბაშის რ.).

ძმა ალიკო, რძლები ნინო, ნინა; გურამ, მაყვალა, დავით, ნანული ელიავები იუწყებიან
**ფატი დავითის ასულ ელიავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-IX, 5½ ს. უნივერსიტეტის ქ. № 29.

შვილები ლიანა, ანდრო, დები გოგუცა, ქალია, ძმა ნიკოლოზ, სიძე მ. სანებლიძე ოჯახებით იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული ვეტექიმის
**ვასილ ანდრიას-ძე კაჭახიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-IX, 8 ს. გამოსვენება 21-IX. 4½ ს. უნივერსიტეტის ქ. № 15.

**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.**

უე 04025 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.